

K 270.222

3

სსრ მიცნობილიათა აკადემია  
სამოციურო ინსტიტუტი



შეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის სერია

პავა გაგავიძი

პარე მარქსი  
ერთოლ ვეგლიცისიკასა  
და  
საზოგადოებრივები

1/3 -

საქართველოს სსრ მიცნობილიათა აკადემია გამოცემა

თბილისი—1952



საქართველოს სსრ მიცნობილებათა აკადემია გამოცემა

მეცნიერულ-ბოტანიკული ლიტერატურის სერია

აავა გეგავიძი

(017-93) 335-5  
252.

კერძ მარესი  
ქართველ ეცნობის შეკასა  
და  
საზოგადოებრივაში  
(1898 601820)



საქართველოს სსრ მიცნობილებათა აკადემია გამოცემა

თბილისი—1952

## ავტორისაგან

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზოგიერთი მასალა მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს მეცნიერული კომიტეტის ფუძემდებლის კარლ მარქსის სახელის ქართულ პუბლიკისტიკასა და საზოგადოებრიობაში პოპულარობის შესახებ პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, „მესამე დასის“, „შექმნამდე, — უკეთ ვთქვათ, „მესამე დასის“ შიგნით რევოლუციური მარქსისტული ჯგუფის ჩასახვა-ჩამოყალიბებამდე. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ჯგუფის სახით, „მესამე დასის“ უმცირესობის სახით, „ჩაისახა, ჩამოყალიბდა და გაიზარდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რევოლუციური ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური ორგანიზაცია ამიერკავკასიაში“<sup>1</sup>.

ამ ბროშურაში გაშუქებულ მოვლენათა უკეთ გაგებისათვის საჭირო იყო ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების რამდენადმე მაინც გაცნობა, მაგრამ უადგილობის გამო ამგვარი მიმოხილვისაგან ხელი უნდა აგველო. აქ, ამ მხრივ, დაინტერესებულთ შეგვიძლია მხოლოდ მივუთითოთ ჩეენი გამოკვლევა „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (1941, თბილისი).

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1945, თბ., გვ. 25.

„კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“ პირველად მოხსენდა კ. მარქსის დაბადების 125 წლისთავისაღმი მიძღვნილ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფილოსოფია-ისტორიის ფაკულტეტთა სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებულ საჯარო სხდომას — 1943 წლის 12 მაისს; იგი შემოკლებულად გამოქვეყნდა უურ. „მნათობსა“ (1943 წ. № 9-10) და გან. „ლიტერატურულ საქართველოში“ (1943 წ. № 32).

მას მერმე, ქართული უურნალისტიკისა და ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის, ისტორიისათვის მუშაობის პროცესში, საჭიროდ, დავინახეთ მნიშვნელოვნად შეგვევსო ეს ნაშრომი, რასაც ამჟამად არსებითად ახლადდაწერილი სახით ვურდგენო ჩვენს მკითხველებს.

### პ. გუგუშვილი

12. 9. 52 წ.

თბილისი.

კარგ მარქსი ქართველ საზოგადოებრივებასა და  
 კუბრიცის შეკავენი

(1898 წლამდე)

1860—1870-იან წლებში რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა უშუალოდ ეცნობა და აქტიურად მონაწილეობს რევოლუციური და რადიკალურად განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფების მოღვაწეობაში, რომლებიც უპირატესად სხვადასხვა სახის წვრილბურეუაზიული სოციალიზმისა და, კერძოდ, ნაროდნიკული იდეებით იყვნენ ამოძრავებულნი.

თვით 1860-იანი წლების დასაწყისშივე (1861 წელს) კერძოდ უშრ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის კრიტიკული სტატიებით იწყება ქართული ლიტერატურული კრიტიკის ახალი ისტორია. ილ. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ა. ფურცელაძე, დავ. ყიფიანი და სხვა. ქართველი მესამოციანელები, განიცდიდნენ რა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის,—კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის დახასიათებით 1860-იანი წლების რუსეთის ამ დიდი დემოკრატების<sup>1</sup>, — უშუალო გავლენას, ამავე დროს დიდად იყვნენ დავალებულნი ბელინსკის ლიტერატურული საგანძურიდან.

ილ. ჭავჭავაძემ 1863 წ. დაარსებული თავისი ორგანოს, „საქართველოს მოამბის“, ეპიგრაფად აიღო ბიბლიის სიტყვები:

<sup>1</sup> К. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, XIII, 389.

„ხოლო ლელვისაგან ისწავლეთ იგავი ესე: რაეამს იგი ტონი  
მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთ  
ახლო არს ზაფხული“.

და იღიას გარშემო დარაზმული „თერგდალეულები“ (პირ-  
ველი დასელნი) პუბლიცისტურ თუ საზოგადოებრივ მოღვა-  
წეობაში თავს დაესხნენ გაყინულსა და დამყაყებულს, ფეო-  
დალური რუტინული ყოფიერებითა და ბიბლიური დოგმებით  
გაყვინიზებული ცხოვრების ყველა ნორმასა და ფორმას, რა-  
თა ემპირიზმისა და კარჩაკეტილობის ბურჯთა აფეთქებით  
გზახსნილი მიეცათ ახალი, — რევოლუციურ-დემოკრატიული,  
ბურჟუაზიული — იდეებისა და მეურნეობრივი თაოსნობისა-  
თვის, რათა ბნელეთის მოციქულთათვის აშკარად განეცხადე-  
ბინათ: „რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის,  
რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველის-  
ფერისა. წესი, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მათი გამომხატ-  
ველია, ყოველიფერი იცვლება მისი ძლიერი გავლენისაგან“  
(ილ. ჭავჭავაძე)<sup>1</sup>.

თვით ილ. ჭავჭავაძის დახასიათებით „თერგდალეულები“:  
„აღზრდილი და განსწავლეული იყვნენ რუსულს მწერლობა-  
მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის  
შემწეობით“. ამ „ნასწავლმა თაობამ, გარდა იმისა, რომ მოვ-  
ფინა, რამდენადაც შეეძლო, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო  
ნათელი აზრები, ხელი მიჰყო საკუთარს ვითარებას... მას აქეთ  
თანდათან ძლიერდება საკუთარის წარსულისა და აწმყოს  
შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარყოფს,  
რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელ-  
საც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდ-  
ვია“<sup>2</sup>.

1 „საქართველოს მოამბე“, 1863, № 1.

2 ილ. ჭავჭავაძე, „თერგდალეულნი“ და ახალი თაობა („ივერია“, 1888 წ., № 104, 105). ილ. ჭავჭავაძის ეს მრავალმხრივ საინტერესო სტა-



სწორედ საფუძველზე „საკუთარი წარსულისა და აწმყოს შესწავლისა“, — რაც „მას აქეთ თანდათან ძლიერდება“, — უნდა მომხდარიყო, და ძველთან მედგარი ბრძოლის პროცესში მოხდა კიდევაც, ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა და შემუშავება ახალი იდეებისა, აზრებისა, წარმოქმნა ახალი ბეჭ-დვითი სიტყვისა, ლიტერატურისა, პუბლიცისტიკისა.

ილ. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა ცეცხლობრივი ქადაგება 1860-იან წლებში ყუმბარასავით გასკდა და შეკვდიადი გაანათა, — იმდროინდელი ეკონომიკური პირობების, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა შესაბამისად, მეტი თუ ნაკლები ინტენსივობით, მთელი საქართველოს საზოგადოებრიობა აამოძრავა და დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ ქავკასიაში. სწორედ ამ დროს, ე. ი. 1860-იანი წლების ქართულ პრესაში ლიტერატურულ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე გაჩაღებული დისკუსიით ჩამოყალიბდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული ქართული პუბლიცისტიკა.

ამ პუბლიცისტიკის მედროშე იყო 1860-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, ის ნაწილი რომელიც გაიტაცა „დროის სულმა“. ქვეყნის ყოველმხრივი „ეროვნული გვარი“ და ბატონიშვილის გაუქმება, ბურჟუაზიული მეურნეობრივი თაოსნობა, წერა-კითხვის გავრცელება და მოსახლეობის განათლება, სამშობლოს ეროვნული კონსოლიდაცია, საერთოდ ხალხის კეთილდღეობისათვის მოღვაწეობა მათ თავიანთ მოწოდებად დასახეს და ამდენადვე შეიქმნენ საქართველოს განმანათლებლებად.

ესენი, „შვილები“, „თერგდალეულები“, თავის შიგნით ფრაქციებად იყოფოდნენ. მათ შექმნეს „პირველი დასი“ და საწყისი მისცეს „მეორე დასაცაც“.

ტია გამოიწვია „ივერიაში“ ნ. გ-ლის (ივ. ჭაბადარის) გამოსვლაში (იხ. „ივერია“, 1888 წ., № 100). ნ. გ-ლის ამ სტატიაზე ქვემოთ გვექნება შეჯელობა.

1860-იანი წლების ქართველ განმანათლებელთა დაწესებულებების შემთხვევაში სამართლებრივი მოღვაწეობას უმთავრესად საძირი და საზოგადოებრივ მოღვაწეობას უმთავრესად საძირი მირითადი მომენტი განსაზღვრავდა: 1. ბატონიშვილი და მისი გაუქმების საკითხი; 2. ადგილობრივ მკვიდრთა ნაციონალური ჩავრა და კოლონიური ექსპლოატაცია, რაც თვეის ელფერს აძლევდა მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებას; 3. — უკანასკნელიდან გამომდინარე — ეროვნულ-განმათა-ვისუფლებელი მოძრაობა, რისი მეთაურებიც იმავე დროს ეროვნული კონსოლიდაციის მესიტყველებიც იყვნენ.

მაინც ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონიშვილისა და მისი გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში ინასკვებოდა. მაგრამ საგლეხო რეფორმის საკითხი ამოსავალ საწყისს წარმოადგენდა ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწისა-თვის, რომელსაც უშდებოდა თავისი საერთო შეხედულებანი გამოეთქვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე მერმინდელ პერიოდშიაც<sup>1</sup>, სანამდე, მეტი თუ ნაკლები ზომით, რჩებოდა ბატონიშვილის გადმონაშთები, სანამდე „პოლიტიკური მოძრაობის ღერძად“ რჩებოდა აგრძარული საკითხი<sup>2</sup>.

ჯერ „ცისკრიისა“ და მერმე განსაკუთრებით „საქართველოს მოამბის“ მეოხებით 1860-იანი წლების ქართველი განმანათლებლები თავს დაესხნენ ბატონიშვილი ურთიერთობის ყოველგვარ გამოვლინებას და სწორედ ამ ნიადაგზე. ჩაღდება ბრძოლა „მამებისა“ და „შვილებს“ შორის. ეს ბრძოლა თავდაირველად წმინდა ლიტერატურული მოძრაობის ხასიათს ატარებდა, მაგრამ მალე იგი სოციალურ-პოლიტიკური, აღმინისტრაციული და მეურნეობრივი მოღვაწეობის სფეროში შეიჭრა. პირველი ძლიერი ყუმბარა „მამების“ ბანაკში მაინც ილია ჭავჭავაძემ გადაისროლა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ვ. ლენინი, თხზულებანი, 1948, II, გვ. 613—629.

<sup>2</sup> ი. სტალინი, თხზულებანი, 1947, II, გვ. 343.

<sup>3</sup> ვზღდად იხ. П. Гугуშვილი, „Подготовление крестьянской реформы в Закавказье“, 1950, Тбилиси.

თუ „მარები“, ასე თუ ისე, ითმენდნენ ქართული ენისა და ლიტერატურული კრიტიკის სფეროში „შვილების“ „კადნერი გამოსცლების“, მათი მოთმინების ფიალა აივსო, როდესაც „შვილები“, („თერგდალეულები“) თავს დაესხნენ წმიდანობის შარავანდედში გახვეულ ფეოდალური ურთიერთობის მორალურ და ესთეტიკურ ნორმებს, და განსაკუთრებით მას მერმე, რაც მათ პრესის საშუალებით საჯაროდ გადაშალეს და, ამგვარად, „ყველა მჯღაბნელთათვის“ ხელმისაწვდომ და განსაკიქებელ საგნალ გახადეს თვით ბატონიშვილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმდროისათვის უაღრესად იქტუალური და მტკიცნეული საკითხები, რაზედაც სწორედ ბატონიშვიბის გაუქმების სამზადისის პერიოდში უკვე პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრაქტატები იწერებოდა<sup>1</sup>, და რომელთა ნაწილი რევოლუციურ-დემოკრატიული ქართული პუბლიცისტიკის სახით პოვებდა თავის გამომზეურებას.

ცნობისმოყვარეობის აღმძვრელია შეფასება, რაც უკვე 1895 წ. მისცა „მესამე დასის“ თვალსაჩინო მოღვაწემ ს. ჭიბულაძემ „პირველი დასის“ (ე. ი. „თერგდალეულთა“) მოღვაწეობას: 1860-იან წლებში „იმათ დაუჭირეს მხარი ისტორიას, გაუწიეს ბებიობა ცხოვრების ახალ მიმდინარეობას, მათ შეასრულეს თავიანთი ისტორიული მისია. ამას შემდეგ ისტორიამ დიდი ულმობელობა, დიდი უმაღურობა გამოიჩინა მათ წინაშე, თავის ახალშობილს მან ისევ გადააფარა თავის საიდუმლოების კალთა და მით დაუკარგა თავის მხნე და უანგარო მოსარჩევებს გზის მაჩვენებელი ნიშანი“<sup>2</sup>.

1860-იან წლებში ჩვენში კიდევ არ არსებობდა პოლიტიკური პარტიები, ამიტომაც ყოველგვარი პოლიტიკურ-ეკონო-

<sup>1</sup> იხ. П. Гугутиა, „Сельское хозяйство и земельные отношения“, „Отмена крепостного права“, 1950, II, стр. 158—203, 694—699.

<sup>2</sup> „კვალი“, 1895, № 18, გვ. 14—15.

შიური პუბლიცისტიკა უწინარეს გამოდიოდა როგორც ტერატურული მოძრაობა და არაიშვიათად კიდევ, როგორც თეოლოგიური მწვალებლობაც, რამდენადაც ფეოდალური ურთიერთობის ნორმები თავს აფარებდნენ ბიბლიის დოგმებს, რომელთაც ხშირად კოდექსის ძალა ჰქონდათ.

მაგრამ ამ ლიტერატურულ მოძრაობას<sup>1</sup>, რომლის მთავარი ბირთვი „თერგდალეულთა“ სახით ჩამოყალიბდა, თვით ცხოველმყოფელი სინამდვილის შემდგომი განვითარებისა და იქ იდეოლოგიური საფუძვლების მეტამორფოზის მიხედვით, საითქენაც იგი თავის საწყისებს მიუთითებდა, უნდა დაეკარგა შეურიგებლობისა და რადიკალობის თავდაპირველი ხასიათი და გაქანება, — იგი უნდა დაშლილიყო და დაიშალა კიდევაც, თუმცა ისე, რომ არ მოსპობილა; მან თავისებური სახეცვალება განიცადა: მისი ზოგიერთი ვარსკვლავი მეტი თუ ნაკლები ხნით მოსწყდა პუბლიცისტიკის ჰორიზონტს, ზოგიერთი გადახალისდა და ახალი შარავანდედით გაბრწყინდა, ზოგი კიდევ ცალკე წარმოქმნილი თანავარსკვლავედის სისტემაში მოექცა და ახალი სხივით აკაშკაშდა.

დასავლეთ ევროპელი სოციალისტ-უტოპისტები, შვერილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიკის კორიფეები (ფურიე, ოუენი, სენ-სიმონი, მილი, ლასალი, პრუდონი, ბასტია, რიკარდო, სმიტი და სხვ.) შესაბამის რეზონანსს პოულობენ ქართულ პუბლიცისტიკაში 1860—1970-იანი წლებიდან მოყოლებული; მათი ზოგიერთი თხზულება პირდაპირ ითარგმნება და იბეჭდება ქართულ უურნალებში. მაგალითად, ჯერ კიდევ 1863 წ. „საქარ-

<sup>1</sup> ვრცლად იხ. პ. გუგუშვილი, „ქართული უურნალისტიკა“, 1941, თბ., ტ. I, 243—256, 309—388.

## თვეელოს მოამბე“ აქვეკნებს პრუდონისა<sup>1</sup> და ბასტიას<sup>2</sup> ნაწერებს და სხვ.

გ. თუმანიშვილი თავის მოგონებაში წერს: „გამოსელა დაიწყო „საქ. მოამბემ“. ეს იყო დრო საყოველთაო გამოცოცხლებისა, ეს იყო დრო დიდი იმედებისა. მესამოციანელები, პრინციპულად რეალისტები და მატერიალისტები, ნამდვილად აღვიძებდნენ საუკეთესო ადამიანურ გრძნობებს... ჭავჭავაძის უურნალიდან მე პირველად გავიგე ბელინსკისა და ლობროლიუბოვის, პრუდონისა და ბასტიას არსებობის შესახებ“<sup>3</sup>.

ამასთანავე მოსახლეობის გათვითცნობიერებისათვის, გონებრივი უძრაობისა, ცრუმორწმუნეობისა და საერთოდ პატ-რიარქალური რუტინიზმის აღმოსაფხვრელად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოვით ბუნებათმეცნიერების მიღწევათა და, კერძოდ, დარვინიზმის პოპულარიზაციას, რასაც გულმოდგინეობით ეწეოდნენ სამოციანი წლების ჩვენი განმანათლებლები, რომელთა შორის, ამ მხრივ, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის გ. წერეთელს<sup>4</sup>. ამავე დროს უფრო და უფრო ძლიერდება გავლენა რუს განმანათლებელთა და ნაროდნიკებისა: გერცენის, ჩერნიშევსკის, ლავროვის, ბაკუნინის იდეებით იყლინთება 1860—1870-იანი წლების ქართული საზოგადოებრიობა და პუბლიცისტიკა; და პირველი პოლიტიკური პარტია — ხალხოსნობა, — საქართველოში (მაშასადამე, კავკასიაშიაც) წარმოიქმნა როგორც ერთგვარი სექცია (თუნდაც როგორც ფრაქცია) რუსეთის ნაროდნიკული პარტიისა.

<sup>1</sup> პ.-ქ. პრუდონი, „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“ („საქ. მოამბე“, 1863, № 10, 72—87).

<sup>2</sup> ფრ. ბასტია, „მძარცველობის ფიზიოლოგია“ („საქ. მოამბე“, 1863, № 8, გვ. 61—67, № 11, გვ. 71—80).

<sup>3</sup> Г. Туманов, „Характеристики и воспоминания“, 1908, III, 178.

<sup>4</sup> გ. წერეთელი, თხზულებანი, 1931, I, 53—58, 83—88, 187—196, 299—301, 311—319, 367—369 და სხვ.

ჩევნ մոյր გაյვრութ შეմოხაზულո გիշ օდეռլոց გուշակ  
լუսուս განვღղ, մագալութ, օսետմա გամოჩენութեա հութը,  
պուտմա, հոգորութ ոչո ն. նոյոլաց.

6. նոյոլաց 1860-օան վլցեծ քասաթյունութանց գարայ-  
շուլու հոսետու զուգ գանմանատլեցելութ — գոծրութու-  
ցուս և հիշենությունուս — օդեցիտ. 1861 վլութան ն. նոյոլ-  
աց პէրտէրծութիւնու, սագաց սեցա յարտաց ստուգենքութան յո-  
ւագ պէտութիւն մոնաթութան հութութութիւն-գութ-  
կրամութ քցությունու პալութութ մուլցաթյունու, համայ-  
սուլ սուր գարկաց պալութ նարութնութ մոսհառն.  
ոմաց վելս նոյոլաց պատութեցին. ոչո չուց պէտրո-պայ-  
լությունու գուստ յանութ մուն նութան մուլցութ  
ցերպենու „Կոլոկոլ“-ու մունաց շու հոսետու գամոմլցու-  
թելու սութ առթապեցիտ յութութութ տացու ցարսաց.

ամ գրութան, 62 վլու Շեմդեց լունդոնի լաթիրութ մո-  
ցոնեցան, տցու ն. նոյոլաց գամոցաց մուն: „հայուն ուս զեթուց  
սուսարշուլուսացան: Վարմութութ յու եռմ հայուն սանու օդցո-  
ւեցա ծորցութ ծումերան հոսետու. հայուն մուլցարեց պէ-  
տութիւն ու առաջանաց անութ սանու լասաթյունու հոսետու  
սանութիւնու ու տուրութ ան հոգոր առ ացութութ սո-  
սանցութ և առ մոմեց սուրց մոնաթութ մուլցա Շեմդեց գի-  
րշուլ ծորմությունու“<sup>1</sup>.

Պատութութան գանտացութ լուգությունու գրութան ն. նոյոլաց  
և սեցա յարտաց լուգությունու ամուրկաց սուլութ ստուգենքու (ց. վյ-  
րեցութ, ն. ճա ծ. լունդութ անութ յու պատութ մ. նալ-  
ծանութան<sup>2</sup>, ո. անդրութ յու պատութ, ո. ուսարլութ յու և սեց.) սու-  
ցու ենուրու ստուգենքու առան տցու ն. հիշենությունու ոչաքնի<sup>3</sup>, սա-  
գաց գարայ-թութ սալամութ, ցեսաց, եւլս սութութ մատն

<sup>1</sup> ն. նոյոլաց, տեխությունու, I, 120.

<sup>2</sup> Մ. Նալբանդյան, „Избранные сочинения“, 1941, Ереван.

<sup>3</sup> ն. նոյոլաց, լաս. տեխ., ց. 122, 140.



განმანათლებლური და ნაროდნიკული გავლენის შემდგომ განვითარებას<sup>1</sup>.

1864—1868 წწ. ნ. ნიკოლაძე დასავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებშია. აქ იგი იმდენად ჩაღრმავებულა პოლიტიკურ ეკონომიაში, რომ სწერს შრომას, „Записки по политической экономии“, სადაც, როგორც ჩანს, განხილულია უპირატესად სოციალისტ-უტოპისტების დოქტრინები. 1866 წ. ნ. ნიკოლაძე ამის შესახებ კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „თურიეს და სენ-სიმონის სისტემა აწერილი მაქსი, ახლა მაკლია: ტომას მორ, კამპანელა, კაბე, შემდეგ ლუი ბლან და სხვანი“. ხოლო ორიოდე წლით აღრე (1864) იგი მასვე სწერდა: „არ დაგავიწყდეს, მაშინ (1862 წ. — რუსეთში) ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის წიგნები მქონდა და იმათ კითხვაში მავიწყდებოდა შიმშილი; და ახლა — ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი რა არის? ფურიე და სენ-სიმონი მქონდა“. და შემდეგ: „ყოველ დღეს აქ ახალ-ახალი გზით მუშაობს ჩემი აზრი და ძალიან ხშირად, ის, რაც გუშინ დამტკიცებული და დაურღვეველი მეგონა, დღეს ირღვევა სულის ერთი შებერვით... მე უფრო დიდი რამე მეგონა ფრანცუზული სოციალიზმი, და დიდი რამე კი არის, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა დარჩენილი შესამუშავებლადო“<sup>2</sup>.

მაგრამ ყოველივე ამას, ე. ი. დასავლეთ ევროპული უტოპიებით გატაცებას, ხელი არ შეუშლია ნიკოლაძისათვის; რათა როგორც საერთოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში ასევე, კერძოდ, რუს განმანათლებელთა მიმართ კელავ დარჩენილიყო საღი შეხედულების ფარგლებში.

იგი, ჯერ კიდევ 1865 წელს საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ თავის ცნობილ შრომაში ენებოდა რა.

<sup>1</sup> Г. Туманов, დასახ. თხ., I, 232—236.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, I, 40.

დას. ევროპისა და რუსეთის ცხოვრებაში მომავალი სოცია-  
ლისტური საზოგადოების საკითხს, წინასწარმეტყველებდათ  
„საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობი.  
ლების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე აღრე რუსეთისათვის  
არის განსახორციელებელი... რუსეთი სასურველ მიზანს ბეჭ-  
რად უფრო ადრე მიაღწევს, ვიდრე თანამედროვე მოძრაობა,  
(რეიტე — სოციალისტური მოძრაობა — პ. გ.) ევროპაში. ამ  
მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი საქართველო  
თავის სვებედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს,  
იგი უფრო მაღე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ  
მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარვე-  
ლად ეყოლება (აღარაფერს ვამბობ მფლობელობაზე) ევროპის  
რომელიმე ერით“<sup>1</sup>.

თავის მასწავლებელ რუს განმანათლებელთადმი უდიდესი  
ერთგულების გამოხატულება იყო, რომ ნ. ნიკოლაძემ 1868  
წელს უწევაში წამოიწყო ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა სრუ-  
ლი კრებულის გამოცემა და იყისრა პირველი ტომის რედაქ-  
ტორობაც.

აღსანიშნავია, რომ ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი  
ტომის წინასიტყვაობაში (ხელმოუწერელია) ნ. ნიკოლაძემ სა-  
გრძნობლად გაპკრა გერცენის ჯგუფს, რომლის წინააღმდეგ  
მანამდეც აწარმოებდა პოლემიკას. გერცენი იმავე წელს ლონ-  
დონიდან პ. ოგარევს სწერდა: „დამალა რა თავისი ქართული  
ბრჭყალები, ნიკოლაძემ ჩერნიშევსკისათვის (დაწერილ) წინა-  
სიტყვაობაში გამოგვკრა ჩვენ და სავსებით იმ თვალსაზრისით,  
როგორადაც პისარევმა „ბაზაროვში“ (ჩანს, მე არ შევმცდარ-  
ვარო)“<sup>2</sup>, — ჰელისხმობს, ალბათ წინათ გამოთქმულ თავის  
აზრს ნიკოლაძის შესახებ.

1865 წ. ნიკოლაძე სტატიას წერს პრუდონის გარდაცვალე-  
ბაზე. ამ სტატიაში იგი კრიტიკულად არჩევს პრუდონის ეკო-

<sup>1</sup> 6. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, I, 174—175.

<sup>2</sup> А. Герцен, Сочинения, XX, 275.

ტომიკურ სისტემას და სამართლიანად ოღნიშნავს, რომ ეს სისტემა „ვერ აღმოფხვრილა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების არსებით ბოროტებასო“<sup>1</sup>. 1866—1868 წწ. ნ. ნიკოლაძე შვეიცარიაში აქვეყნებს რამდენიმე შრომას რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების შესახებ. 1868 წ. უნევაში ფრანგულად იბეჭდება მისი სადოქტორო დისერტაცია. ეს იყო სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის, და საერთოდ პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ქართველმა წარადგინა ახალი ევროპის უმაღლეს სასწავლებელში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1733 წელს რომში დ. ტულუჟაშვილის მიერ ლათინურ ენაზე თეოლოგიური ხასიათის დისერტაციის დაცვას<sup>2</sup>.

სწორედ ამ ხანებში ნ. ნიკოლაძე ეცნობა კ. მარქსს<sup>3</sup>. ნ. ნიკოლაძეს კ. მარქსმა წინადადება მისცა, „მიეღო თავის თავზე ინტერნაციონალის წარმომადგენლის მოვალეობა ამიერკავკასიაში“. ამ წინადადებაზე ნ. ნიკოლაძეს რაღაც მიზეზის გამო უარი უთქვამს. ხოლო „კაპიტალს“ ნ. ნიკოლაძე პირველად გასცნობია რუსული თარგმანის კორექტურაში 1869 წ. (გაშოიცა — 1872 წელს). როდესაც ნ. ნიკოლაძე შემდეგ ფრანგულ თარგმანში გასცნობია „კაპიტალს“, დარწმუნებულა, რომ „კ. მარქსის აზრები საქართველოსათვის ვერ გამოდგებოდა“<sup>4</sup>.

ნ. ნიკოლაძე შემდეგშიაც ხშირად ცხოვრობდა დასავლეთ ევროპაში. აღსანიშნავია, მაგალითად, რომ 1873 წ. ციურისში

1 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, I, 156.

2 პ. გუგუშვილი „ქართული წიგნი 1629—1929 წწ.“, ისტორიულ-სტატისტიკური გამოკვლევა, 1929, გვ. 35—36.

3 ს. ხუნდაძე, „ცნობები კ. მარქსის შესახებ ქართულ ლიტერატურაში“ (ჟურ. „საქ. სოც. მეურნეობა“, 1933, № 1—2, გვ. 109—112).

4 იქვე.

მისი თაოსნობით დაარსდა ქართველ სტუდენტთა კავშირი — „ულელი“<sup>1</sup>, რომლის მიზანდასახულობის შესახებ იმავე წელს იტყობინებოდა „დროების“ ციურიხელი კორსპონდენტი<sup>2</sup> ნიკოლაძისავე თაოსნობით 1873 წელს პარიზში გამოიცემოდა ევროპაში პირველი ქართული გაზეთი — „დროშა“<sup>3</sup>, რომელ საც თავის საზოგადოებრივ იდეალად დასახული ჰქონდა: „თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა, გაწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიკურ თანასწორობისა მებრ“<sup>4</sup>. ძირითადად ასეთსავე მიზნებს (რაშიაც ესოდენ ამჯარად ჩანს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივის ძლიერი გავლენა) ისახავდა იმ ხანებში ისევ ნ. ნიკოლაძის ინიციატივით უენევაში მოწვეული კავკასიელთა ყრილობა, რომელსაც გ. წერეთელი თავმჯდომარეობდან. ევროპიდან დაბრუნებისას ნ. ნიკოლაძეს თან ჩამოჰქონდა ხოლმე დიდძალი არალეგალური ლიტერატურა<sup>5</sup>.

ს. მგალობლიშვილი გაღმოგვცემს, რომ „ნიკოლაძის ჩამოსვლამ საზღვარგარეთიდან სულ ახალი მიმართულება შექმნა ლიტერატურაში და ცხოვრებაში“<sup>6</sup>, რომ სკანდელის (ნიკოლაძის) ნაწერებს „ახალგაზრდობა გატაცებით კითხულობდა“<sup>7</sup>. ნ. ნიკოლაძე თავის ფრიად მახვილ პუბლიცისტურ სტატიებში მიმართავდა კ. მარქსის ავტორიტეტს.

<sup>1</sup> სცს. ფონდი 114, საქმე № 24/97, 1873 წ.

<sup>2</sup> „დროება“, 1873, № 16; იხ. აგრეთვე დ. მესხი; „მოგონებანი“, 1940, თბ., 35—36.

<sup>3</sup> ს. ხუნდაძე, „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, II, 311—320.

<sup>4</sup> გაზ. „დროშა“, პარიზი, 1873 წ., № 1.

<sup>5</sup> დ ჯ ა ბ ა დ ა რ ი, „Воспоминания“ („Былое“, № 7).

<sup>6</sup> 3. გუგუშვილი, „ქართული წიგნი 1629—1929 წწ.“, 1929, თბ., 237.

<sup>7</sup> ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, 1933, თბ., 71.

<sup>8</sup> იქვე, 60—61.

მაგალითად, 1876 წ. ბაკუნინის გარდაცვალების გამო და-  
წერილ ფელეტონში უკანასკნელს აღარებს კ. მარქსს, რომ  
მელსაც აშკარა უპირატესობას ანიჭებს<sup>1</sup>. 1870-იანი წლების  
მიწურულს ნ. ნიკოლაძემ თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ტრაქ-  
ტატში გაღავიშალა საკუთარი მსოფლმხედველობა<sup>2</sup>. ამ დროი-  
დან იგი უფრო გარკვევით აღგება იმ გზას, რომელსაც მიჰყვე-  
ბა თავის შემდგომი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის  
მანძილზე. კარგად ესმოდა რა ჩვენთვის დიდი რუსი ხალხის  
ისტორიული მნიშვნელობა, იგი სამშობლოში შეიქნა ეროვ-  
ნული აღორძინებისა და ბურჯუაზიული თაოსნობის მესიტყვა  
ჯუბლიცისტიკაში და ამავე იდეების მტკიცედ გამტარებელი  
პრაქტიკულ-მეურნეობრივ საქმიანობაში.

არ შეგვიძლია აქვე რამდენიმე სიტყვა არა ვოქვათ ვ. ჩერ-  
კეზიშვილზე, რომელიც 1864 წლიდან მონაწილეობს რუსეთის  
რადიკალური ინტელიგენციის ცხოვრებაში; მოსკოვში შე-  
ღის იშუტინის ჯგუფში; განიცდის ჩერნიშევსკის გავ-  
ლენას; 1867 წ. პეტერბურგში პქმნის საკუთარ რევოლუ-  
ციურ ჯგუფს; მალე აქედან მას ასახლებენ ციმბირში, საიდა-  
ნაც გარბის საზღვარგარეთ—ლონდონსა და უენევაში. აქ საბო-  
ლოოდ ემხრობა რუს ბაკუნისტებს და მალე ხდება ერთ-ერთი  
საყოველთაოდ გამოჩენილი მოღვაწე რუსული და დას. ევ-  
როპული ანარქიზმისა. მაგრამ ვ. ჩერქეზიშვილის ამ მოღვაწე-  
ობას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია იმდროინდელ  
ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაზე, თვით  
1900-იანი წლების დასაწყისამდე, რამდენადაც აქამდე იგი  
თითქმის სავსებით მოწყვეტილი იყო ქართული სინამდვილი-  
საგან.

<sup>1</sup> „Тифлисский Вестник“, 1876 г., № 143.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, „მამულის სიყვარული და მსახურება“, 1914, ქუთ.,  
მეორე გამოცემა, გვ. 107—111, 127—131.

თბილისში „დროების“ (1866—1885), „მნათობისა“<sup>1</sup> (1869—1872) და „კრებულის“ (1871—1873) გარშემო თავს იყრის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია: გ. წერეთელი, გრ. თარხან-მოურავი, დ. ბაქრაძე, ვ (ბ) პეტრიაშვილი, ა. ფურცელაძე, დ. მიქელაძე, ს. მესხი, მ. ქიქოძე, ნ. ინაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. ჩაღდება დიდი და ხშირად ფრიად მწვავე პოლემიკა თანადროულობის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, როდესაც სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ თანდათან უფრო ძლიერად იჩენს თავს ხალხოსნობა (ნაროლნიკობა).

გაზ. „დროება“ სისტემატურად ეხმაურება ევროპისა და რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას; მაგალითად, საფრანგეთ-პრუსის ომის მიმღინარებასა და შედეგებს. ერთგან გადმოცემულია გერმანიის რაიხსტაგის გადაწყვეტილება, რომ „ელზასი და ლოტარინგია... პრუსიას უნდა დარჩესო“; ხოლო ქვემოთ იქვე, ვკითხულობთ, რომ რაიხსტაგში „ამ საქმის თაობაზე ილაპარაკა გერმანიის გამოჩენილმა დემოკრატმა ბებელმა იმან სთქვა, რომ ელზასისა და ლოტარინგიის ძალით დაჭრა დიდი შეცდომილება და დანაშაულობა არის გერმანიის მხრით ბისმარქს ნურასოდეს იმედი ნუ ექნება, რომ ელზასელებში და ლოტარინგელებში, რომელნიც ნამდვილი რესპუბლიკანელები არიან, როდისმე მონარხიული გრძნობა და რწმუნებები ჩანერგოს...“<sup>1</sup> დაახლოებით ერთი წლის შემდეგ „დროება“ თავის მკითხველებს ატყობინებს, რომ „დააპატიმრეს ა. ბებელი — გერმანიის იმპერატორის შეურაცხყოფისათვის“<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის საკითხში, როგორც „დროება“ ისე მთელი მაშინდელი მოწინავე ქართული პუბლიცისტიკა აშკარად კიცხავდა გერმანიის იმპერია-

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 22.

<sup>2</sup> „დროება“, 1872, № 27.

ლისტურ ზრახვებს. ამასთანავე „დროების“ შენეველი კო-  
რესპონდენტი ბ. ჯ. (ბ. ჯაფარიძე, უნივერსიტეტის  
სტუდენტი) ბისმარქის გერმანიას ბრალს სდებს შვეიცარიის  
დაპყრობისადმი მისწრაფებაში: „შვეიცარიის ჩესპუბლიკა  
საზოგადოთ არ ესიამოვნებათ არც თუ მარტო ბისმარქს...  
ესენი არ ითაკილებენ, რომ ეს მათვის უსიამოვნო წყობი-  
ლება მოსპონ ევროპაშიო“<sup>1</sup>.

„დროება“ ხშირად ბეჭდავს ცნობებს ზას. ევროპაში მყოფ  
რუს პოლიტიკურ ემიგრანტთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის  
შესახებ. მაგალითად: „ლონდონში ცხოვრობს ახლა სამი ემი-  
გრანტი: ნეხაევი, სერებრენიკოვი და ელპილინი, რომელთაც  
რუსის ემიგრანტების წინამდოლელად მიაჩინიათ თავისი თავი...  
ამათთან იქ მისულა აგრეთვე, როგორც ამბობენ, ლავროვი,  
რომელიც იმ დროს, როდესაც პარიჟს ნემცები გარს ეხვივნენ,  
ამ ქალაქში იყო, არტილერიაში მსახურობდა“<sup>2</sup>. დაახლოებით  
წელიწადნახევრის შემდეგ იგივე გაზეთი იტყობინება ციუ-  
რიხში ნეხაევის დაპატიმრების შესახებ<sup>3</sup> და სხვ.

1870-იანი წლების დასაწყისიდან თბილისელ სემინარისტთა  
რადიკალურ ახალგაზრდობაში არალეგალურად ვრცელდება  
ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ბოკლის, დარ-  
ვინის, დრეპერისა და სხვათა თხზულებები<sup>4</sup>. ამ ახალგაზრდო-  
ბის ჯგუფები და წრეები ანტირელიგიური, ათეიისტური ლი-  
ტერატურიდან თანდათანობით გადადიან ლიბერალურ პოლი-  
ტიკურ და შემდეგ რევოლუციური წიგნების კითხვაზე და გა-  
ცხარებულად პაექტობენ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სა-  
კითხებზე<sup>5</sup>. უკვე ჩნდება არალეგალურ წიგნთა გამავრცელე-

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 21.

<sup>2</sup> „დროება“, 1871, № 22.

<sup>3</sup> „დროება“, 1872, № 35.

<sup>4</sup> შ. დავით გვალი, „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“,  
1933, თბ., 15; ИКБЗ, I, отд. II, 25.

<sup>5</sup> იმვე, 20.

ბელი კერები (ექ. ხელაძის სტამბა, გრ. ჩარკვიანის და შემცირებული ნაძის წიგნის მაღაზიები), სადაც „მოიპოებოდა მრავალგვარი, აკრძალული წიგნები“<sup>1</sup>. 1871 წ. „დროებისა“ და „კრებულის“ ჯგუფმა დაარსა სამკითხველო, რომლის გამგედ, რათა აღმინისტრაციას ეჭვი არ აეღო, დანიშნეს ვინმე ივანოვი და ამის გამო სამკითხველოსაც ივანოვის სამკითხველოს უწოდებლენ „სამკითხველო მაშინ ახალი ხელი იყო. მაშინდელი მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორც წყალმოწყურებული, ისე დაწაფა წიგნების კითხვას“<sup>2</sup>.

გაზ. „დროების“ ფელეტონისტი 1871 წ. წერდა: „ამ უკანასკნელ დროს, რომ საზოგადოთ კითხვის სურვილი მოემატა ჩვენ საზოგადოებას, ამაში კი ეჭვი არ არის. შეიხედეთ უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში და ცხადათ დარწმუნდებით ამაში: უკანასკნელ ოცს კაცს... მაინც ნახავთ თითქმის ყოველთვის, რომელნიც დარბაისლურად გაწოლილან კრესლოებზე და ჩაღრმავებულან გაზეთის, უურნალის ან სხვა რომელსამე წიგნის კითხვაში“. ფელეტონისტი გაკვირვებული აღნიშნავს: „წარმოიდგინეთ ქალებსაც კი მიაქვთ ბიბლიოთეკიდან წიგნებიო“<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ამავე დროიდან თბილისში, ქუთაისში, გორსა და სხვა ქალაქებში და არაიმედიათაღ სოფლებშიაც იმართება ლიტერატურულ-დრამატიული შეკრება-სალამოები, რომელთა ინიციატორები არიან ჩვენი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები<sup>4</sup>. ცხადია, რომ ლიტერატურული სალამოებიც ხელს შეუწყობდნენ აკრძალუ-

<sup>1</sup> შ. დავითაშვილი, „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“, 22, 36.

<sup>2</sup> ს. მგალობლივი შვილი, დასახ. თხშ., გვ. 61.

<sup>3</sup> „დროება“, 1871, № 11.

<sup>4</sup> იხ. აპ. მახარაძე, „ლიტერატურული შეკრება-სალამოები საქართველოში“, 1939, თბ.

ლი წიგნებისა და იდეების გავრცელებას სახოგადოებაში. ს. მგალობლიშვილი წერს: „1872 წლიდან უკვე იწყება ქ. ოფიციალისმი აქა-იქ კრებები, ესწრებიან მოსწავლე ახალგაზრდობანი, კითხულობენ, სხვათაშორის, არალეგალურ წიგნებს. სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკები, სა-დაც ინახება „Современник“, „Великорус“, დობროლიუბოვი, პისარევი; ისტორიული წიგნები, განსაკუთრებით საფრანგეთის რევოლუციისა, ლასალი, პრუდონი და სხვ.“ რუსეთის უნივერსიტეტებიდან გამორიცხულ და შინ, საქართველოში, დაბრუნებულ სტუდენტებს „პირზე ეკერათ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, მიხაილოვი, გერცენი, ბაკუნინი, ლავროვი, კარაკოზოვი და სხვ.“<sup>1</sup>. სწორედ ამ დროიდან ყალიბდება საქართველოში ხალხოსნური მოძრაობა.

1870-იანი წლების მეორე ნახევარში შ. დავითაშვილის ჯგუფი ხსნის საამგინძაოს, სადაც არალეგალურ წიგნებს ჯვრით მოვარაყებულ ყდაში სვამენ, ე. ი. საეკლესიო წიგნების მსგავსად აფორმებენ. ამავე სახელოსნოსთან იყო არალეგალური ბიბლიოთეკა, უმეტესად რუსული წიგნებისა: კრებულები პარიზის კომუნისა, საფრანგეთის რევოლუციისა და სხვ. შესახებ, აგრეთვე წიგნები გერცენის, ჩერნიშევსკის, დარვინის, ჰექსლის, ფოხტის, ფიხტეს, სპენსერის, კონტის, ბოკლის, ჰაინრიხის, უ. უ. რუსოს, სენ-სიმონის, ფურიეს, ოუენის, პრუდონის, ლავროვის, ფლეროვსკის, დობროლიუბოვის, ა. სმიტის, კ. მარქსისა და სხვ.<sup>2</sup>.

თვით შ. დავითაშვილი წერს: „სოციალიზმის ლიტერატურას ვეცნობოდით ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროებით, გვინდოდა მიგველო ნათელი წარმოდგენა მომავალ სოციალურ წყობილებაზე, ვკითხულობდით ძველ და ახალ

<sup>1</sup> ს. მგა ლობლიშვილი, დასახ. თხზ., 71.

<sup>2</sup> შ. დავითაშვილი, დასახ. თხზ., 37.

ეკონომისტებს და პლატონიდან დაწყებული სპეციალისტების  
ლოსოფონების შრომებს”<sup>1</sup>.

სანო (სტ. ჭრელაშვილი), ერთ-ერთი უშუალო მონაწილე აქ  
მოძრაობისა, გადმოგვცემს: „ჩვენს სასწავლებლებში ყმაწევა-  
ლები გამოიხიზლდნენ. ამხანაგობა გამართეს და ურთიერთის  
დახმარებით შეუდგნენ ახალგაზრდები თავიანთს განათლე-  
ბას — კითხულობდნენ, ბასობდნენ, იმართებოდა აზრების  
აღებ-მიცემობა და სხვა ამისთანა სიკეთე“. საბოლოოდ „შე-  
უძლებელი იყო, რომ ამ აზრებს (ხალხოსნურს იდეებს) არ  
ეჩინა თავი ახალგაზრდის ყოველს დღიურს ცხოვრებაში. იჩი-  
ნა თავი და საქმე ისე წავიდა, რომ 1874 წლიდან ეილი 1878  
წლამდე... მარტო ტფილისის სემინარის მოაკლდა ოთხმოცდა-  
რვა საუკეთესო შეგირდი, რომელიც გულმოდგინებით ემზა-  
დებოდნენ ქვეყნის სამსახურისათვის“<sup>2</sup>. — იგულისხმება ეან-  
დარმერიის მიერ ხალხოსნური ორგანიზაციის აღმოჩენა და  
დარბევა, ხალხოსანთა ციმბირში გადასახლება და სხვ.

ამავე მოძრაობის თვალსაჩინო მონაწილის ს. სალარიძის  
მოგონებაში (სადაც თარიღები და ზოგიერთი დეტალი შეიძ-  
ლება ზუსტი არ იყოს) ვკითხულობთ, რომ „საქართველოში  
პირველი კონსპირატიული კრება სოციალისტური ტენდენცია-  
ებით“ მოაწყო ვარლამ ჩერქეზიშვილმა — 1871 წელს: „მისი  
ქადაგება ჩვენთვის იყო გაუგონარი და მიუწვდომელი; ჩვენ,  
პოლიტიკურ ბავშვებს, პირველად გვესმა მარქსისა და ენგელ-  
სის, ბაქუნინისა, პტუდონისა, ლუი-ბლანისა და კროპოტკინის  
სახელი, რომლებიც გვიღებდნენ ოქროს საუკუნის კარებსო“<sup>3</sup>.

არალეგალური წრეები არსებობდა როგორც თბილისში,  
ისე ქუთაისშიაც. 1876 წელს შედგენილ თბილისის უანდარმ-  
თა სამართველოს მიმოხილვაში ნათქვამია: „ამ საზოგადოე-

1 შ. დავითაშვილი, დასახ. თხზ., 37.

2 სანო, „ძელი და ახალი თაობა“ („ივერია“, 1888, № 189).

3 ს. სალარიძე, „მოგონებანი“ („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, ტფ., I, 102).

ბის (ე. ი. ხალხოსნური ორგანიზაციების — პ. გ.) მუშაობა ამ ეამად გამოიხატება დიდძალი აკრძალული წიგნების გავრცელებაში და თავის მხარეზე სოფლის სკოლების მასწავლებელთა, მოწაფეთა ბინების, გიმნაზიის მოწაფეთა, ზოგიერთი ქალის და სხვ. მიმხრობაში... ამ საზოგადოების მოღვაწეთ მიმოწერა აქვთ პეტერბურგსა და მოსკოვში მყოფ კავკასიელ სტუდენტებთან<sup>1</sup>.

როდესაც 1876 წლის ნოემბერში „ქუთაისის რევოლუციური (ხალხოსნური) საზოგადოების“ წევრები დააპატიმრეს და გაჩერიკეს, მათთვის ჩამორთმეული არალეგალური ლიტერატურის სია იქნა შედგენილი. ამ სიაში მარქსის სახელი არ იხსენიება. ეს ძირითადად იყო რუსული ნაროღნიკული ლიტერატურა<sup>2</sup>. დადასტურებულია, რომ თბილისში არსებულ ხალხოსანთა ორგანიზაციას („ნაროღნაია ვოლიას“), სადაც სელმძღვანელ როლს თამაშობდნენ სტ. ჭრელაშვილი, გ. ჯაბა-დარი, გ. ზდანოვიჩი და სხვანი, ერთგვარი კავშირი ჰქონდა „მოწინავე მუშებთან და ხელოსნებთან“, რომელთა შორისაც, ცხადია, ავრცელებდნენ ხალხოსნურ იდეებს<sup>3</sup>.

告 稿

1880-იანი წლების დასაწყისის პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა წრეების შესახებ ი. მანსფერაშვილი წერს: „...სენ-სიმონის, ფურიესი, ოუენის, ლასალის და სხვათა ნაწერები ჩვენთვის საუკეთესო წიგნები იყო, რომელთაც გატაცებით ვკითხულობთ. მეტადრე ღიღი გავლენა პქონდა ჩვენზე ლასალს“<sup>4</sup>. შემდეგ იგივე ავტორი გადმოგვცემს: „ოუენის კეთილშობილური წალილი, ფურიეს რწმენა, რომ მისი „ფალან-

1 სცხს, ფონდი 36, 1876 წ., საქმე № 18, ფ. ფ. 21—22; ИКБЗ, I, стл. II, 34; сб. ағр. ტ. ხუნდაძე, „ნარკოლები სახ. განათლ. ისტორიიდან ხა-ჯარცოლოში“, 1951, გვ. 192—230.

<sup>2</sup> ೧೯೩೦, ೩. ೪. ೩೨ ತಾಂತ್ರಿಕ ಶಾಸಕ, ಮಾಸಿಕ, ೫೮, ೫೯.

<sup>3</sup> ဂ. န. ၈၉၀၁၂၃၀။ „နိုမ်ဝ တာဒ္ဓရာဇာစာရွှေလီ“၊ ၁၉၂၇၊ ၇၃၊ ၉၁။

<sup>4</sup> Օ. ԹԱՅԵ ՅՈՒՐԻ ՄՅՈՒԼԻ, „Խաչուլո և Հայոնութիւն”, 1936, թի., 69.

სტერები“ ლარიბ, მშიერ ხალხს გააბედნიერებდა, დოდენის რულს გვიღვიძებდა გულში, თუმცა, თან ეჭვიც გვებადებდა, რომ ამ გზით შესაძლებელი ყოფილიყო დამყარება ქვეყნად „მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოებისა“<sup>1</sup>.

1884—1886 წწ. ოდესელი ქართველი სტუდენტები რესებთან ერთიანდებიან რევოლუციურ, ე. ი. ნაროდნიკულ (ნაროდოვოლცების, ჩორნო-პერედელცების) წრეებში, სადაც პაექტონებნ ლავროვის, ტკაჩოვის, ტიხომიროვის წიგნებში წამოჭრილ საკითხებზე, „სწავლობენ მილის პოლიტიკურ ეკონომიას, ჩერნიშევსკის შენიშვნებით, შემდეგ მარქსის პირველ ტომს, ლასალის ...სააგიტაციო სიტყვებს...“<sup>2</sup>.

ამ დროისათვის უკვე, როგორც გ. ლასხიშვილი მოგვითხრობს, „ეკონომიური ნაწილი ნაროდოვოლცების მოძღვრებისა, როგორც მასსოვს, ბევრს ვერ აკმაყოფილებდა. მაშინაც სხვადასხვა გზით მიღიოდნენ სოციალიზმის სამეფოში: ზოგი ძველი ნაროდნიკების, ან ტიხომიროვის გზით, ზოგი ლავროვის და მიხაილოვსკის თეორიებით,... უკვე იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მარქსის კონცენტრაცია-პროლეტარიზაციით და ბოლოს ცუზამენბუხებით მიემგზავრებოდნენ“<sup>3</sup>.

ამგვარად, ამ დროისათვის რუსეთის საუნივერსიტეტო ცენტრების მოწინავე ახალგაზრდობაში უკვე აშკარად ჩანს პრიტიკული განწყობილება ნაროდნიკული იდეებისადმი და ამასთანავე იმ მუშაობისადმი, რომელიც გააჩალა გ. პლეხანოვის მიერ 1883 წელს საზღვარგარეთ, უენევაში, დაარსებულმა პირველმა რუსულმა მარქსისტულმა ჯგუფმა<sup>4</sup>. მაგრამ, იმავე გ. ლასხიშვილის გადმოცემით, ჯერ კიდევ მაინც „პოლიტიკუ-

<sup>1</sup> ი. მანს ვეტაშვილი, 69—70.

<sup>2</sup> გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, 1934, თბ., 23.

<sup>3</sup> იქვე, 25.

<sup>4</sup> იხ. „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია“, მოქლე კურსი, 1938, თბ., გვ. 11—13.

რი მხარე ნაროდოვოლუების პროგრამისა იდეური ახალგაზრდა  
დობის დიდ უმრავლესობას ბეჭითად სწამდა<sup>1</sup>.

1880-იანი წლებიდან როგორც რუსეთში, ისე ჩეენშიაც  
ოპოზიციური ახალგაზრდობა ძლიერ გაიტაცა ეკონომიკურმა  
მეცნიერებამ. 1880-იანი წლების მეორე ნახევარშიაც ეს ტენ-  
დენცია კიდევ უფრო ძლიერდება. სწავლობენ, როგორც სო-  
ციალისტ-უტოპისტებს, აგრეთვე დ. რიკარდოს, ა. სმიტს,  
კ. მარქსს. ერთი მაგალითი. 1887 წ. ოდესაში „არეულობის“  
გამო დაპატიმრებულ სტუდენტთა შორის ქართველებიც იყვ-  
ნენ. 1888 წ. იანვარს ეს პატიმრები ხარკოვის ციხიდან როს-  
ტოვში მიყავთ. პატიმარი ვ. წერეთელი საეტაპო მოგზაურო-  
ბაშიაც ფილოსოფიურ და ეკონომიკურ პრობლემებზე კამა-  
თობდა.

აი, იგი უახლოვდება გ. ლასხიშვილსა და კ. მესხს, რომელ-  
თაც ეუბნება: „ძალიან საინტერესოა აღამ სმიტის გამოქველე-  
ვა საშუალო საუკუნეებში ქალაქების ზრდის შესახებ...“

— თუ ღმერთი გწამს, თავი დაგვანებე, ვასილ! — შეევედ-  
რა კოტე მესხი, რა მეადამსმიტება, სული კბილით ძლივს გვი-  
კირავსო“<sup>2</sup>.

აქვე მინდა დაგსძინო, რომ ვ. წერეთელი (ვ. წ-ლი) თავის  
პირველს ლიტერატურულ დებიუტშივე („კაცთა საზოგადო-  
ების განვითარება“) იმოწმებს კ. მარქსსა და აღამ სმიტს, რო-  
გორც საზოგადოებათმეცნიერების დიდ ავტორიტეტებს<sup>3</sup>.

ცნობილია ისიც, რომ სწორედ ამ ხანებში ციმბირში მყოფ  
მ. ციფიანს კ. მარქსის „კაპიტალს“ უგზავნის თბილისიდან  
ს. მგალობლიშვილი<sup>4</sup>. 1880-იან წლებში ციმბირი მარქსის  
იდეების გავრცელების თავისებური ცენტრი იყო. რუსეთი-

<sup>1</sup> გ. ლასხიშვილი, დას. თხზ., 25.

<sup>2</sup> გ. ლასხიშვილი, დასახ. თხზ., 37.

<sup>3</sup> „თეატრი“, 1889, № 34—38.

<sup>4</sup> ს. ხუნდაძე, დასახ. თხზ., II, 142.

დან თუ საქართველოდან ციმბირში გადასახლებული ქართველი ხალხოსნური ახალგაზრდობა (ნაროდოვოლცები, ზექლევოლცები, ჩორნი-პერედელცები) იქ რუსი რევოლუციური ინტელიგენციის და მუშების გავლენით უფრო ახლოს ეცნ. ბიან კ. მარქსის მოძღვრებას.

გ. ლასხიშვილი გადმოგვცემს, რომ მისი (ნაროდოვოლცის) შოთამბეჭდველობა ციმბირში „შეარყია იმ დავამ, რომელიც ატყდა რუსეთში ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის. ერთის მხრით, მარქსის შესწავლამ და მეორეს მხრით სტრუვეს და განსაკუთრებით პლეხანოვის ნაწერებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე და მომაშორეს ის წმინდა წყლის რუსული უტოპია, ვითომ თემი და არტელი იხსინან რუსეთს კაპიტალიზმისაგან და შესაძლებლად გახდიან მის-თვის პირდაპირ სოციალიზმის დამყარებას“<sup>1</sup>.

სწორედ ციმბირის გადასახლებაში ყოფნისას, ბაკუნინის მეშვეობით, კ. მარქსის იდეების გავლენის სფეროში მოექცა ცნობილი პუბლიცისტი, ხალხოსანი გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), რომელმაც 1882 წელს „ივერიაში“<sup>2</sup> გამოქვეყნებული ტრაქტატის სახით („წერილი ჩენ საზოგადოობრივ მოღვაწეთა მიმართ“) პირველი შეეცადა წარედგინა ქართველი ძვირნ-ველისათვებს კ. მარქსის სოციოლოგიური მოძღვრება.

იმავე წლის „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში, „შინაურ მიმოხილვაში“, დაიბეჭდა ილ. ჭავჭავაძის მრავალმხრივ საინ-ტერესო სტატია („ბ-ნ მეისნერის პროექტის შესახებ“); ამ სტატიაში ფულის, საქონლის, ფასის, ღირებულების, გაჭრობისა და სხვ. წმინდა ეკონომიკურ საკითხთა განხილვისას ილ. ჭავჭავაძე მრავალგზის იშველიებს დებულებებს კ. მარქსისა, რომელსაც იგი პოლიტიკური ეკონომიკის უდიდეს

<sup>1</sup> გ. ლასხიშვილი, დასახ. თხ., 75.

<sup>2</sup> გ. მაიაშვილი, „წერილი ჩენ საზოგადოობრივ მოღვაწეთა მიმართ“ („ივერია“, 1882, № 7—8, 129—166, № 9, 99—124).

ავტორიტეტად სთვლის და „დიდათ გამოჩენილ მეცნიერს“ უწოდებს, თუმცა თვით ვინაობას ამ მეცნიერისა და არც სა-ხელშოდებას თხზულებისა, საიდანაც ამონაშერები მოჰყავს, ცენზურული პირობების გამო არ მიუთითებს<sup>1</sup>.

როგორც 1870-იან, ისე 1880-იან წლებშიაც ქართველი „ხალხოსნები, სემინარისტები და სხვ. პროპაგანდისტები“ არა-იშვიათად აწყობდნენ ხოლმე შეხვედრებს, თათბირებს; ისინი მონაწილეობდნენ ხოლმე „ხელოსანთა და მოწინავე მუშათა“ კრებებსა და შეხვედრებში. მ. ჩოლერიშვილი წერს, რომ, მაგალითად, გოლა ჩიტაძე 1882 წელს „ხშირად გვიყითხავდა ჩერ-ნიშვესკისა და პისარევის თხზულებებიდან, მუშათა ცხოვრებიდან“ და სხვ. პოლიტიკურ წიგნებსო<sup>2</sup>.

სკ. სალარიძე გადმოგვცემს, თუ როგორ შეიტანენ სა-თათბიროდ 1882 წელს „სოფლებიდან ჩამოსული პროპაგან-დისტები“ — ს. უფლისციხეში — შემდეგი საკითხების გა-სარჩევად: 1. „ფეოდალური მიწის საკუთრების კონფისკა-ცია; 2. გლეხთა კავშირების მოწყობა და ორიენტაცია მათ გამოსვლაზე; 3. პატარა ერების განთავისუფლება რუსეთის გახრმილ კაპიტალიზმისაგან, რომელიც ძარცვავს მათ ბუ-ნებრივ სიმდიდრეს“. და აი, ამ თათბირზე „ყამთა ტრიალით შივიწყებულს, აფორიაქებულს ს. უფლისციხეში, სადაც ლე-გენდარულ უფლოსს გამოუჭრია კლდოვანი დარბაზი სავარ-ძლით, რომელიც ჩვენ გვეჩვენა მეცხრე სასწაულად, აწ კი გადაქცეულს ხვლიკების სოროებად და აგიტატორების ტრი-ბუნად, ლუკა<sup>3</sup> იღებს სიტყვას: „კოკისპირულ წვიმასა და ქარ-

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, ტ. VI, 1927, ტუ., 276—308.

<sup>2</sup> ვ. ჩოლერიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 94.

<sup>3</sup> ლუ 10 რაზიკაშვილი (ცაცაც შაველი); იგი, სკ. სალარი-ძის მოგონების მიხედვით, იშვიათი სტუმარი ყოფილა სემინარისტთა კრე-ბებისა და სემინარისტთა საყვედურზე, „რაომ არ დადიხარ კრებებშეო“, ჩვეულებრივ თურმე უპასუხებდა: „მე ვტრიალებ ჩემი ღერძის ორგველივთ“.

ბუქმი სთქვა მან, — მე გამოვიარე თითქმის მთელი ფაქტების შეცვლისთვის და ყველგან ერთსა და იმასვე მექითხებოდნენ ამ როგორ გადაწყდება მიწის განაწილების საკითხი<sup>1</sup>. უკეთეს გლეხებს მივცემთ მიწას, ჩვენ მუშაობას ექნება დასაყრდენი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლეხობას გადმოვიყვანა ჩვენ მხარეზე; მაშინ საფუძველი ეცლება მთავრობას და ჩვენ თვის საშიში არ იქნება არც მემამულების მუქარა, არც რცხვთის ხიშტიანი ლეგიონები, გამოსავალ გზას მე ვხედავ გლეხთა კავშირებში ინტელიგენციასთან და პატარა ერების ერთობაშით<sup>2</sup>.

თუ რამდენად ფესვგადგმული იყო 1880-იანი წლების ქართველ სემინარიელთა შორის „რადიკალური იდეები“ ჩანს თვით სვ. სალარიძის თავგადასავლიდანაც: „...მე აღრევე შეუღრეველი სიძულვილით გავიმსჭვალე რუსეთის აბსოლუტიზმისადმი და ვუძახდი შეურიგებელ მოსწავლე ახალგაზრდობას მარსელის დოკებისაკენ, რომ ქართული იდეალის უძლურება ჩამექსოვა ფრანგულ რევოლუციურ სულში. ამ ნიადაგზე 1883 წ. მე დავაარსე სანკუილოტების (ფრ. *Sainte-Clalettes*) ერთი სექცია, რომელიც აპირობდა საფრანგეთში გადასვლას და იქ მონაწილეობის მიღებას მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> საქმე უნდა ეხებოდეს სათემო მიწების გადანაწილების შესახებ მომათხოვანის, რაც იმ ხანებში როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ისე საერთოდაც ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა შორის სერიოზულ ხასიათს ატარებდა და რაც ცარიზმის ბიუროკრატიისათვის შეიქნა ერთ-ერთი საბაბი ამიერკავკასიაში სახელმწიფო (სახანინო) გლეხთა ყოფა-ცხოვრების აღწერა-შესწავლისა, — აგრარული ურთიერთობის „მტკიცედ მოწესრიგების“ მიზნით (ჩ. 3. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“, ეკუნომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 5—84).

<sup>2</sup> სვ. ს ა ლ ა რ ი ძ ე, დასახ. თხზ., გვ. 17.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 98.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული იდი იდეით ამძრავებული სკ. სალარიდე საზღვარგარეთ შიდის. ამ გზაზე ტრაპიზონში 1885 წელს იგი ხვდება გ. ჩერქეზიშვილს, რომელიც, ამ დროს, „პოლიტიკურ სფეროებს ჩამცილებული“ საფრანგეთის მინისტრის, ლიბერალური პარტიის ბელადის როზბერის დავალებით ნიადაგს ამზადებდა, რათა გ. წერეთლის მეოხებით „პოლიტიკური ხელშეკრულება დაედვა საქართველოსთან“. თავის დროზე საქმაოდ ცნობილი ხალხოსანი და მერმე ანარქისტი სკ. სალარიდე თავისთავის საკუთარივე მორიდებული დახასიათებით „მხოლოდ ქეციანი სანკულოტი“ იყო.

რაյი ქართულ ხალხოსნურ მოძრაობას შევეხეთ საჭიროა ის გარემოებაც აღინიშნოს, რომ საერთოდ რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობას საქართველომ მისცა თვალსაჩინო წარმომადგენლები, ხოლო თვით კავკასიაში ნაროდნიკული მოძრაობის წამყვან და ძირითად ძალას ქართველი ხალხოსნები წარმოადგენდნენ და ამასთანავე მხოლოდ საქართველოში იყო ჩამოყალიბებული ხალხოსნური ორგანიზაცია, როგორც პოლიტიკური პარტია; იგი არსებითად იყო საერთოდაც პირველი პოლიტიკური პარტია ამიერკავკასიაში.

მაგალითად, 1876 წ. უანდარმერის მიერ საქართველოში (კავკასიაში), ასე ვთქვათ, რეგისტრირებული, ე. ი. აქტიური წევრი ხალხოსანთა ორგანიზაციისა სულ იყო 54 კაცი. აქედან ქართველი — 37 კაცი, ანუ 68,5 პროცენტი; რუსი — 5 (9,2%); აზერბაიჯანელი — 4 (7,4%) სომეხი — 3 (5,5 %), დანარჩენი ეროვნებისა — 5 (9,2%). სოციალურად კავკასიელ ხალხოსანთა უმრავლესობას მშრომელი ინტელიგენცია (მასწავლებლები, მოსამსახურეები) და მოსწავლე ახალგაზრდობა შეადგენდა. 54 კაცში 6 ქალი იყო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სცს, ფონდი 36, 1876, საქმე № 15 ლა 17.

ცხადია, მშერატორის კანცელარიის მესამე განყოფებული ბაც სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა რუსეთის დარღვეულულიურ მოძრაობასა და, მაშასადამე, სასამართლო პოლიტურ პროცესებში კავკასიელთა, ე. ი. უპირატესად ქართველთა მონაწილეობის შედარებით ფრიად მაღალ პროცენტს. ხოლო 1882 წ. აღმოჩენილი „სამხედრო ნაროდნიული ორგანიზაციის“ შემადგენლობაში მყოფ 22 კავკასიელს შორის (როგორც წარმოშობით, ისე მუდმივად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ქართველი იყო 11 კაცი (50%), რუსი — 9 (41%), სომები — 2 (9%).<sup>2</sup>

ასეთი იყო, თვალის ერთი გადავლებით, შესაბამისი პირები ქართულ საზოგადოებრიობაში, რომლის პრესაშიც, პუბლიცისტიკაში, პირველად გაიელვა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის სახელმა.<sup>3</sup>


1926 წელს, როდესაც საქართველოს სსრ ცენტრარქიულ შევუდექი ჩემის ინიციატივით იქ თავმოყრილი კავკასიის საცენზურო კომიტეტის საარქივო ფონდის შესწავლას, პირელად წავაშუდი გან. „დროებისათვის“ ცენზურის მიერ 1870-იან წლებში აკრძალული „საცენზურო ამონაბეჭდების“ გროვას, სადაც მოყვანილია ციტატები კ. მარქსის ნაწერებიდან, ერთ ფელეტონში, რომელიც დ. მიქელაძის (მეველის) კალამს ეკუთვნის, ვრცელი ციტატის სახით მოყვანილი იყო კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“-ის ცნობილი წინასიტყვაობის დიდი ნაწილი.

სწორედ, 1870-იანი წლების დასაწყისიდან გვხვდება პირელად კ. მარქსის სახელი ქართულ პრესაში. აღსანიშნავია, რო-

<sup>1</sup> „Каторга и ссылка“, 1928 г., № 1 (38).

<sup>2</sup> სცსს, ფონდი 36, 1882 წ., საქმე № 34, ფურც. 13—26 და შემდ.

<sup>3</sup> თვით კ. მარქსი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარების საქმეს. ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი ურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1938 წ., № 5, გვ. 12—19.


 ქართული პერიოდიკა დიდ ინტერესს იჩინს პირველი ინტერნაციონალისა და პარიზის კომუნისადმი. დას. ევროპის ქალაქებში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა სახით „დროებას“ საკუთარი კორესპონდენტები ჰყავდა ამ ქალაქებში. მაგალითად, 1871 წ. ეს გაზეთი „უცხო ქვეყნების“ განყოფილებაში სისტემატურად ათავსებს კორესპონდენციებს, ფელეტონებს, დეპეშებს სათაურით: „პარიზის არეულობა“<sup>1</sup>, „საფრანგეთი“<sup>2</sup>, „საფრანგეთი და გამბეტა“<sup>3</sup>, — სადაც ქართველი უშუალო დამკვირვებელის მიერ გაშუქებულია, ხშირად დაწვრილებითაც, როგორც საფრანგეთ-პრუსიის ომის, ისე რევოლუციისა და პარიზის კომუნის ამბები.

1871 წ. „დროებაში“ ვრცელი სტატია მიუძღვნა „ხალხთა შორისი მუშების საზოგადოებას“, ე. ი. პირველ ინტერნაციონალს (1864—1872). ხსენებულ სტატიაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ეს საზოგადოება ან ასოციაცია შემდგარია თითქმის მხოლოდ მუშა ხალხისაგან, მაგრამ იმის წევრებად არიან აგრეთვე ისეთი მწერლებიც და სხვა პირებიც, რომელნიც გამოჩენილი არიან ხალხის მოყვარული თავის აზრებით და რომელთაც ჰსურთ მდაბიო ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება... ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშათა შემართებელი, ის ცდილობს, რომ ყველა მუშას ერთი აზრი, ერთი წარილი და ერთგვარი მოქმედება ჰქონდესო“<sup>4</sup>.

ცხადია, ამ სტატიის ავტორისა და საერთოდ „დროების“ გარშემო თავმოყრილი პუბლიცისტებისათვის არ შეიძლება უცნობი ყოფილიყო პირველი ინტერნაციონალის მთავარი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის კ. მარქსის სახელი და მოღვაწეობა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სწორედ რამდენიმე

<sup>1</sup> „დროება“, 1871, №№ 17, 18, 19, 20.

<sup>2</sup> „დროება“, 1871, №№ 21, 22, 23, 26, 27, 29, 30 და შემდეგ.

<sup>3</sup> „დროება“, 1871, № 28.

<sup>4</sup> „დროება“, 1871, № 23.

კვირით აღრე „დროების“ მკითხველი ამ გაზეთის ფურცლებზე ამოიკითხავდა კ. მარქსის სახელს.

სახელმძღვანში, 1871 წ. 15 აპრილის გაზეთის ნომერში (უცხოეთის მიმოხილვის განყოფილებაში) ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ ახლანდელი პარიეის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყვიათ მარქსის, ასსის, ბენტინსა და დარმოტს; ყველა ესენი არიან სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი წერები ლონდონის ხალხთა-შორისი მუშების ლიგისა. ამ ლიგის მიტინგებში, როცა პარიეში რევოლუციის მოედანზე ყოფილა ლაპარაკი, დიდი მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ბლანკის“<sup>1</sup>.

ჯერჯერობით ეს ითვლება ქართულ ბეჭდვით სიტყვაში ყველაზე აღრინდელ ცნობად კ. მარქსის შესახებ. ამ ცნობა პროფ. ს. ხუნდაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება<sup>2</sup>. აქეც უნდა ითქვას, რომ თავისთავად მარქსის შესახებ ეს ცნობა არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. მართალია, პირველი ინტერნაციონალის რამდენიმე წევრი მონაწილეობდა რევოლუციისა და პარიზის კომუნაში, მაგრამ თვით პირველი ინტერნაციონალის კომიტეტს და, მაშასადამე, კ. მარქსსაც მასში უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ.

იმავე გაზ. „დროებაში“ ნახევარი წლის შემდეგ ისევ იბეჭდება ცნობა პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობის შესახებ: „იმ დიდ საზოგადოებას, რომელსაც სამ მილიონამდე წევრი ჰყავს და რომელსაც ხალხთა შორისი მუშების საზოგადოებას“ ეძახიან, შარშან უნდა ჰქონოდა ლონდონში კრება... ომიანობის გამო ეს კრება არ მოხდა და მის ნაცვლად წელს უნდობათ შეკრება, მაგრამ პარიეის არეულობის გამო, რომელშიაც იმათ წევრებმა მიიღეს მონაწილეობა, ევროპის სახელმწიფოების მართებლობებმა და საზოგადოებამაც დევნა და-

1 „დროება“, 1871, № 15, ვე. 2.

2 ს. ხუნდაძე, დასახ. თხზ., I, 115—116; „საქ.“ სოც. მეურნეობა, 1933, № 1—2, 109—110.



უწყეს და ამიტომ საზოგადო კრების მავიცრად მხოლოდ 26  
სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელნი მოიწვიეს და საიდუმ-  
ლო კრება დანიშნეს ლონდონში... კრებამ 15 კაცი ამოირჩია  
საზოგადოების საქმეების გამგებლებად, რომელნიც მუდამ  
ლონდონში არიან. და ცენტრალურ კომიტეტს შეადგენენ. კო-  
მიტეტის თავი ნემეცი კარლ მარქსია, რომელმაც კრებას სა-  
ზოგადოების მოქმედების ანგარიში წაუკითხა. კრებამ გადა-  
სწყვიტა, რომ განსაკუთრებითი ყურადღება საფრანგეთისა  
და რუსეთის მუშებს უნდა მივაჭიოთო“<sup>1</sup>.

ზემოთ „აღვნიშნეთ, რომ ცენტურამ „დროებას“ აუკრძალა  
გამოქვეყნება დ. მიქელაძის სტატიისა, სადაც მოყვანილი იყო  
ციტატი კ. მარქსიდან. 1873 წ. თებერვლის ნომერში ამავე გა-  
ზეთში იბეჭდება იმავე დ. მიქელაძის კორესპონდენცია: „საფ-  
რანგეთი“<sup>2</sup>, სადაც აღწერილია რა დას. ეკროპის კაპიტალის-  
ტურ ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა კლასის სასტიკი ყვლელი და  
საერთოდ მძიმე მდგომარეობა, ბავშვთა შრომის ექსპლოატა-  
ციის შესახებ მოყვანილია ამონაწერის სახით კ. მარქსის  
სიტყვები და თანაც მითითებულია წყარო (ავტორი)<sup>3</sup>.

შემდეგ აღსანიშნავია იმავე წელს „დროებაში“ დაბეჭდი-  
ლი ცნობა კ. მარქსის ვითომდა გარდაცვალების შესახებ: „ლონდონში მომქვდარა გამოჩენილი მწერალი და რესპუბ-  
ლიკული კარლ მარქსი. ეს ის მარქსია, რომელსაც წალმა-  
უკულმა „ხალხთა შორისი მუშების ამხანაგობის“ მოთავედ  
სთვლილნენ და თან ლასალის მასწავლებლად... მარქსს გვარი-  
ანი ძალი ნაწერი რჩება“ და სხვ.<sup>4</sup>

გ. თუმანიშვილის მიერ შედგენილს და 1878 წ. გამოცე-  
მულ „აღმანახში“ (წ. I) მოთავსებულია შემდგენელის სტა-

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 41.

<sup>2</sup> დ. მიქელაძე ამ დროს პარიზში სცხოვრობდა.

<sup>3</sup> „დროება“, 1873, № 6.

<sup>4</sup> იქვე, № 27.

3. 3. გუგუშვილი

ტით: „ეკონომიკური სურათები“, სადაც დას. ევროპის (ინგლისის) ვითარების მიმოხილვისას მოყვანილია ტიტული „კ. მარქსის „ქაპიტალის“ პირველი ტომიდან<sup>1</sup>.

ამგვარად, 1870-იანი წლების ქართულ პრესაში ჩამოდენი. მეჭერაა მოხსენებული კარლ მარქსი. პირველ ცნობებში 1871 წ. ლაპარაკია კ. მარქსის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ხოლო მერმინდელ ცნობებში კ. მარქსი ნახსენებია ურეთვე როგორც ავტორიტეტი ეკონომიკურ საკითხებში.

საერთოდ კარლ მარქსის სახელი ქართულ საზოგადოებრივ მიზანისა და პუბლიცისტიკაში პირველად შემოიტანა ხალხოს. ნურად განწყობილმა და ხალხოსნურმა ინტელიგენციამ.

\* \*

1880-იანი წლებიდან კი ქართულ პუბლიცისტიკაში თეორიულ ეკონომიკურ და საერთოდ სოციოლოგიურ საკითხებზე ავტორიტეტებად მიჩნეულ მეცნიერთა (ოუენი, პრუდონი, ბასტია, მილი, ფურიე, ჩერნიშევსკი, რიკარდო, სმიტი, ფეიერბახი, ჰეგელი, კონტი, ფიხტე და სხვ.) შორის კარლ მარქსი გვევლინება როგორც უდიდესი ავტორიტეტით მოხილი მეცნიერი.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვაქვს ის ფაქტი, რომ რუსეთის ქალაქებიდან თუ საქართველოდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის ციმბირს გადასახლებული ქართველი ხალხოსანი ინტელიგენცია იქ, ციმბირში, 1880-იან წლებში უფრო ეცნობოდა მარქსის მოძღვრებას და, ცხადია, განიცდიდა კიდევაც ამა თუ იმ ზომით, ამ მოძღვრების გავლენას.

ასეთ ქართველ ხალხოსან-პუბლიცისტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა<sup>2</sup> დაეთმოს ბაქუნისტს გ. მაიაშვილს (ზდანოვის), რომელიც 1882 წელს ციმბირში წერს და ქუჩა „ივერიაში“ აქვეყნებს თავისი დროისათვის უდაოდ მრავალ-

1 „ალმანახი“, 1878, თბ., I, 109.

გხრივ საინტერესო ტრაქტატს: „წერილი ჩვენ საზოგადოობრივ მოღვაწეთა მიმართ“.

გ. მაიაშვილი, ეხება რა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის რეფორმათა მნიშვნელობას, წერს: „ყოველი რეფორმა, ცხოვრების რომელ მხარესაც გინდა შეეხებოდეს, დარჩეპა უქმად და ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ იგი მტკიცედ შემეცნებულ და ცხადად გამოთქმულს პრინციპებზედ არ არის დამყარებულიო“; იგი იშველიებს ამ მხრივ მისთვის ყველაზე დიდ ავტორიტეტს:

„აი როგორ გამოსთქვამს მოკლედ თავის შეხედულებას ამ საგანზე ერთი უდიდესი და უღრმესად შემეცნებული კაცი ჩვენი დრო და საუკუნისა, კაცი ისეთი, რომლის სრულიადმა და მტკიცე მეცნიერულმა წარმოდგენამ მსოფლიოზე (მირი-სივრცასთან) ჰქმნა დიდი ძლევა“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ მოყვანილია ვრცელი ამონაწერი ცნობილი წინასიტყვაობიდან „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისა-თვის“, სწორედ ის ადგილი, სადაც კ. მარქსი იძლევა ისტორიის მატერიალისტური გაგების ქვინტესენციას<sup>2</sup>.

ქვემოთ, მას შემდეგ, რაც იძლევა კ. მარქსის, „ამ ღრმა მოაზრის“ „ერთი კომენტატორთაგანის“, განმარტებას (მოკლე ციტატის სახით), გ. მაიაშვილი წერს: „ამ სახით, როდესაც ხალხთა წოდებათა შორის ეკონომიკურად დაჩაგვრა ძლიერდება, როდესაც ძლიერდება მათი ქონებათა უთანასწორობა, მათთან ერთად ძლიერდება პოლიტიკური დაჩაგვრაც. ეკონომიკური ცხოვრების უსწორ-მასწოროდ მიმდინარეობა ხალხს აგრძნობინებს, თუმცა წინად ბუნდად, რომ მისი ცხოვრების პირობანი არ არიან ნორმალურნი. შემდეგ ამას თანდათან უფრო ცხადადა გრძნობს ხალხი და ებადება სურვილი შე-

<sup>1</sup> „ივერია“, 1882, № 7—8, 152.

<sup>2</sup> იხ. კ. მარქსი: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1932, ტფ., 40—42.

ცკალოს, დაამსხვრიოს ეკონომიური ბორკილები, რომელიც  
უშლიან იმის შრომის ნაყოფიერებას წესიერად მიმდინარეობ-  
დეს. ვისი ინტერესებიც ამნაირად ეკონომიურის ცხოვრების  
შეცვლით, საშიშროებაში ჩავარდება, ისინი საზარლად ძრუნ-  
დებიან და ლელდებიან. და რადგანაც იურიდიკული და პოლი-  
ტიკური ფორმები სრულიად შეეხამებიან და შეესაბამებიან  
მატერიალურს ცხოვრების საძირკველს, ე. ი. რადგანაც იური-  
დიკული და პოლიტიკური დაწესებულებანი არიან ერთგულ-  
ნი გუშაგნი აწმყო ეკონომიურის ცხოვრებისა, რომელსაც  
იგინი ფხიზლად და ერთგულად ჰყარაულობენ, — ამისათვის  
რა წამსაც კი შენიშნავენ ხალხს ეკონომიურის ცხოვრების  
შეცვლის სურვილს, მაშინვე ეს გუშაგნი სცემენ შალარს,  
ისხამენ აბჯარს და გამოდიან მიმდინარე ეკონომიურის ცხოვ-  
რების დამცველად”<sup>1</sup>.

ეს გ. მაიაშვილის სიტყვებია. ამ სახითაა პირველად ქარ-  
თულ ენაზე, ქართულ ბეჭდვით სიტყვაში, ქართველი პოლი-  
ტიკური მოღვაწისა და პუბლიცისტის მიერ გაღმოცემულ  
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე კ. მარქსის მოძღვრებისა.

ჩვენ ქვემოთ კიდევ უნდა მოვიყვანოთ ორიოდე ამონაწე-  
რი ამ შესანიშნავი ტრაქტატიდან, რომლის მნიშვნელობა ქარ-  
თულ პუბლიცისტიერისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია-  
ში, ჩვენის ფიქრით, კიდევ არ არის ჯეროვანად შეფასებულ  
ქვემოთ მოყვანილი ამონაწერები საინტერესოა არა მხოლოდ  
იმ მხრივ, თუ რამდენად შეძლო გ. მაიაშვილმა კ. მარქსის გა-  
გება, არამედ იმ მხრივაც, რომ აქ ავტორი ლაპარაკობს ქარ-  
თული სინამდვილის შესახებ, ე. ი. ცდილობს კ. მარქსის ა-  
რების გამოყენებას კონკრეტული საზოგადოებრივი ცხოვრე-  
ბის მიმართ:

„ წარსულს საუკუნოებიდანვე რუსეთის დაახლოებას სა-  
ქართველოსთან არ შეიძლებოდა არა ჰქონოდა გავლენა ჩვე-

<sup>1</sup> „ივერია“, 1882, № 7—8, 153—154.

ნის ხალხის ცხოვრებაზედ. უწინდელი წარმოების ფორმები გაკერნენ, ახლები დაიბადნენ; ძველი ცხოვრების მატერიალური მართვა პირობანი შეიცვალნენ ხალხის მიერ (მანამდე) უცნობის პირობებით... რუსეთმა ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში ახალი ელემენტი შემოიტანა, რომელიც წინად არ იყო, რისგანაც წარმოებრივი ურთიერთობანი ხალხისა ძლიერ შეიცვალა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში გლეხთა შესახები რეფორმები მოხდა. ცვლილებამ იწარმოვა და ძველი წესები დაირღვა. და ოდგანაც ცვლილება ბევრჯელ ხალხის სასარგებლოდ არ არის ხოლმე, ამისათვის ხალხი დიდ სიღარიბეში ჩავარდა, — ეს ერთი, მეორეს მხრით, ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ახალმა წყობამ მოიყვანა მოძრაობაში თვითონ ხალხიც, რომელმაც ამ საზოგადო მოძრაობას დასდო თავისი ფერი და სიცხოველე. ეს მოძრაობა იყო ხალხში ახალი ეკონომიურის პირობების შემოტანის პასუხად. აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ. საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა, იგინი გამოიწვია დრომ და არა მათ დრო...”<sup>1</sup>.

გ. მაიაშვილი უსაყვედურებს ქართულ პრესას: „მუდა გვაოცებდა და გვაკვირვებდა ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ უურნალ-გაზეთებში სრულიად ვერა ვპოულობდით პოლიტიკა - ეკონომიურს სტატიებს... თქვენ თითქო განზრას სტრეგებთ უყურადღებოთ, ეკიდებით გულგრილად ვრცელს ნაწილს და სფერას ხალხის ცხოვრებისას და გაპყოლინართ მსჯელობას უნაყოფო პოლიტიკურს საგნების შესახებ ერთსა და იგივე უცვალებად თემაზედ: ევროპიული მინისტრების ცვლილებაზე და დაუსრულებელს ლიტონ დებატებზედ იქაურ სახელმწიფოთა კონსტიტუციურს პალატებთა შინა. ის კი არა თუ ეკონომიურ ტკივილების მოშორებაზე და ეკონომიურ სენატა-გან განთავისუფლებაზეა დამოკიდებული ჩვენის ხალხის კეთილდღეობა და დოვლათი“.


<sup>1</sup> „ივერია“, 1882, № 7—8, გვ. 155—156.

„მაგრამ, ცხადია, რომ არ შეიძლება განკარგებაში და გასუკვთხებაში შევიყვანოთ ის, რის გაგება და ცნობა გვაქვს, არ შეიძლება ჩეფორმა მოახდინო რომელისამე საზოგადოობრივ ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გმოუკვლეველი. ამისათვის არის საჭირო სვინდისიერი და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიკურის ცხოვრების ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამ გვარს შესწავლაზე დამყარებოთ შეიძლება დასაქვნა ესა თუ ის დედააზრი, გამოიყვლიო ხელმძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარიტი, რომლის შემწეობით შესაძლებელ-იქმნება მოიპოვო კაცმან ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაქმაყოფლებლად, დამაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირების დაუიღობის ცრემლების მოსაწმენდად. მართლაც ვიცით განცოტად მაინც წესიერად, ეხლანდელი მდგომარეობა ხალხის შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესნი მიზეზნი ხალხის წუხილსა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტისმეტი უარარაობის ჩვენში შესახებ იმგვარ წყაროთა და მასალათა, რომელთ შეწეობით შეიძლებოდეს მტკიცედ — მეცნიერულად აღიარებულ და დადგენილ იქმნას, რომ აი, ასეთია და ასეთია თან. მედროვე მდგომარეობა ჩვენის ეკონომიკურის ცხოვრებისა ჩვენში არ არსებობს არც კერძო ადგილობრივი გამოკველეული, არც სტატისტიკური შრომანი და, დასასრულ, არც ოფიციალურნი, მმართველობის მიერ გამოქვეყნებული ცნობანი<sup>1</sup>.

შემდეგ, იძლევა რა საჭმაოდ დაწვრილებით პროგრამა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ყოფიერების შესწავლისათვის. მაიაშვილი წერს: „ზოგი ჩვენი ლიტერატორთაგანი დაუგა საქართველოს ისტორიის შესწავლას. ცხადია, რომ ეს საგანი ძლიერ უსაჭიროესი საგანია და თვით ეს საქმეც ძალია პატიოსანი და ქების ღირსი უნდა იყოს. მაგრამ როგორ მოკიდეთ ხელი თქვენ ჩვენი ისტორიის შემუშავებას, რა

<sup>1</sup> „ივრია“, 1882 წ., № 9, 101—102.

<sup>2</sup> იქვე, 106—116.

ექებთ თქვენ იქ საინტერესოს, რა საგულისხმიერო მაგალითები—  
 გი და მოძღვრებანი უნდა ამოულოთ იქიდამ ქართველებს,   
 როდესაც თქვენ მოგვითხრობთ საქართველოს სახელმწიფო  
 ცხოვრების გარეგნობაზედ, როდესაც თქვენ აღვიწერთ სხვა-  
 დასხვა ლაშქრობას და სამეფო კარის ინტრიგებს და მოპყო-  
 ლიხართ მეფეებისა და დედოფლების, მათი კუდებისა და ფა-  
 რეშების ამბავს; ამით განა ვის რა გინდათ ასწავლოთ, ვის რა  
 გსურთ შეაგონოთ? რა საზოგადოებრივი საგანი ამოგილიათ  
 მიწნად, როცა მხოლოდ გარეგნობა მხარეს სწავლობთ სამშობლო  
 ისტორიისას და შინაგანს აზრს კი არ უღრმავდებით. თქვენი  
 ნამუშევარი ამ მხრივ უაზროა და უნაყოფო, ამიტომ რომ მის  
 შემოწმებით ვერ გავიგებთ და ვერ შევიგნებთ ხალხის ცხოვ-  
 რების აწინდელს ვითარებას. იგი ვერც ცნობისმოყვარეობას.  
 აკმაყოფილებს, ამიტომ რომ მის შემწეობით ჩვენ წინაპართა  
 წარსულის ცხოვრების სილრმესა და სიგანეს ვერ ვტყობი-  
 ლობთ, მის ნამდვილს ხატებას ვერ ვხედავთ. იმის მაგიერ,  
 რომ დაგვანახოთ ყოფა-ცხოვრება ხალხისა წარსულს დროს,  
 იმის მაგიერ, რომ გაგვაცნოთ მაშინდელი უფლებრივი, იური-  
 დიული და ეკონომიური ურთიერთობა, თქვენ სულ სხვას  
 მოგვითხრობთ და სულ სხვა კილოზედ მოპყოლიხართ ძეელს  
 ამბავს; იმის მაგიერ, მაგ., რომ მრთელი და სრულიადი სურა-  
 თი წარმოვიდგინოთ ხალხის ტანკვისა და წამებისა, რომელიც  
 ჩვენმა ქვეყანამ გამოსცადა შინაურ მოუწყობლობისაგან და  
 გარეშე მტრებისაგან; დასასრულ იმის მაგიერ, რომ ასწეროთ  
 როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპარნი, რას იყეობდნენ, რა  
 ზნესა და ხასიათს აღვენენ შინაურობაში და გარეთ; ერთის  
 სიტყვით, იმის ნაცვლად, რომ მოგვითხრობთ საინტერესო ის-  
 ტორია ჩვენის ეკონომიურის და გონიერივის განვითარებისა,  
 თქვენ ყველა ამის ნაცვლად, გაპყოლიხართ, უკაცრატლი ქარ-  
 თულია, რაღაც ქებას და დიდებას წარსულისას და თან შე-  
 სხმისა და ხოტბის წერას დარბაისლურს შრომას უძახით”<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „ივერია“, 1882 წ., № 9, გვ. 117—118.

\* გ. მაიაშვილის ამ ტრაქტატის გამოქვეყნება გარკვეულ საცხოვრის წარმოადგენს ქართულ პრესასა და პუბლიცისტიკაში. სადაც მან კიდევაც პპოვა შესამჩნევი გამოხმაურება, — მიუ- ხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა. ცხადია, ცენზუ- რამ დიდად დაამახინეა თვით მაიაშვილის ტრაქტატიც, იმდე- ნად, რომ იქ კ. მარქსის სახელი ერთხელაც კი არ არის მოხ- სენებული<sup>1</sup>.

აღნიშნული ტრაქტატის გარშემო დისკუსია მეტის თუ ნაკ- ლების ინტენსივობით თითქმის ათოოდე წელიწადი გრძელდე- ბოდა ჩვენს პერიოდიკაში, რაც, ცხადია, ხელს უწყობდა კ. მარქსის სახელის პოპულარიზაციასა და, მაშასადამე, მისი იდეების გავრცელებასაც, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის უკვე დიდი ხნით ადრე გამოცემული იყო „კაპიტალის“ I ტომის რუსული თარგმანი, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ (1885 წ.) „კაპიტალის“ II ტომიც გამოქვეყნდა რუსულად. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ბოსლეველმა (მჭედლიძემ), კრელ- შვილმა, ხიზანაშვილმა, ჯაბადარმა და სხვ.

ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდანაც ნათლად ჩანს, რომ გ. მაიაშვილი ისტორიის მამოძრავებელ ძალად სთვლის ეკო- ნომიკურ ფაქტორს. მისი აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრება- ში განმსაზღვრელ როლს ეკონომიკური (მეურნეობრივი) ყო- ფიერება თამაშობს. სწორედ ამ მოსაზრებათა დასამტკიცებ- ლად მიმართა მან კ. მარქსის ავტორიტეტს. მაგრამ გ. მაიაშვი- ლის ამ შეხედულებას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რო- მელნიც, მართალია, აღიარებენ ეკონომიკის (მწარმოებლურა-

<sup>1</sup> გ. მაიაშვილ ს შემდგომ ათეულ წლებშიაც დარჩენია კ. მარქსის წიგნებისადმი პატივისცემა. 1897 წელს ლუკა ასათიანის (ბათუმის ქალაქისთავე) მიხედვის რომანოვთან პროტექციისათვის (ციათუ- რის მარგანეცხ სარეინიგზო ტარიფის დაკლების საჭმეში) კ. ზღანო- ვი მა მიუძღვნა „კაპიტალის“ ორი ტომი:... „რაც ჩემი ხნის კაცისათვის ძნელი დასაძლევი იყო, მაგრამ ძლიერ მესიამოვნაო“, — უთქვაშის ლ. ას- თიანს (იხ. დ. კლდიაშვილი, „მემუარები“, 1933, ტფ., 120—121).

ქალების) უპირატესობას, მაგრამ მათ მიაჩინიათ, რომ კ. შავაძე-  
უკოლმა სავსებით და უსამართლოდ უგულებელჲყო დიდი ჭირობა  
უვნელობაც პოლიტიკისა<sup>1</sup>.

ეს დისკუსია ჩვენთვის ამეამად მით უფრო საინტერესოა,  
რომ პატიობაში გამოსული მეორე მხარეც აუცილებლად  
სთვლის საკუთარ მოსაზრებათა განსამტკიცებლად მოიშვე-  
ლიოს ისევ კ. მარქსის სახელი.

ბოსლეველი (ე. მჭედლიძე), ეკამათება რა მაიაშვილს, აკ-  
ხადებს: „ეკონომიური ნიადაგი, რომ დიდს ლონეს და შინიშვი-  
ნელობას აძლევს მისგანვე გამოწვეულს ხალხის მოძრაობას,  
ეს ნათლად და თვალსაჩინოთ სჩანს ეხლანდელ მოძრაობაში,  
რომელსაც თავის რკინის კლანჭებში ჩაუყენებია თითქმის  
მთელი კაცობრიობა და რომელსაც „სოციალისტურს“ მოძრა-  
ობას ეძახიან. „სოციალიზმი“ თანამედროვე ეკონომიურის  
ურთიერთ-შორიობის პირმშო შვილია; იგი შეჰქმნა იმ გარემო-  
ებამ, რომლის მიზეზითაც საკუთრება და სიმღიდრე არა იმათ  
ხელშია, რომელნიც თავიანთი დაუღალავისა და მუდმივის, გა-  
მალებულის შრომით აჩენენ ერთსაც და მეორესაც, არამედ  
იმათს ხელში, რომელთაც სიმართლით ყველაზე ნაკლებად  
ეკუთვნისთ. ახლა რა დაუდვია საგნაც „სოციალიზმს“ — ამ  
წენიდა ეკონომიურს ნიადაგზედ აღმოსრულს და გაძლიერე-  
ბულს მოძლვრებას? — კითხულობს იგი და იქვე უპასუხებს:  
„ისევ იმავე ეკონომიურის ურთიერთ-შორიობის შეცვლა“<sup>2</sup>.

ამასთანავე „მარტო ამ ეხლანდელს მოძრაობას კი არ  
უდევს ნიადაგს ეკონომიური მიზეზი, ამგვარივე ნიადაგი  
ჰქონდა ძველსა და შუასაუკუნოების მოძრაობასაც“... „ასე,  
ჩვენ ბატ. მაიაშვილს ვეთანხმებით, რომ ყოველი პოლიტიკუ-  
რი მოძრაობა გამომდინარეობს ხალხის ეკონომიური მდგომა-

<sup>1</sup> იხ. ჩვენი სტატია გაზ. „კომუნისტი“, 1940, № 122.

<sup>2</sup> გაზ. „შრომა“, ქუთაისი, 1882, № 48.

რეობისაგან... და ბოლოს ისიც ცხადია, რომ ყოველს საშოთა  
დოებრივს მოღვაწეს თავის მოღვაწეობის საგნად უნდა=ჰქონდა  
დეს ცნობილი ხალხის ეკონომიურის ცხოვრების განკარგე-  
ბა“... მაგრამ „რა საშუალება უნდა იხმაროს საზოგადო მო-  
ღვაწემ, რომ აღნიშვნულს და განსაზღვრულს საგანს მიაღწიოს“  
აი კითხვა, რომლის განმარტებაზედაც ჩვენ არ ვეთანხმებით  
ბატ. მაიაშვილს“<sup>1</sup>.

ბოსლეველი იმ თვალსაზრისზე დგას, რომ პოლიტიკური,  
მოღვაწემ „ხალხის ეკონომიური ცხოვრების განკარგებისა-  
თვის“ საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური ბერკეტები  
უნდა აამოძრავოს და სწორედ აქ იჩენს თავს პოლიტიკის  
მნიშვნელობა: „საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში სა-  
ზოგადოებრივი მოღვაწენი ამ პოლიტიკურს უფლებათ ხმა-  
შენ ხალხის ეკონომიურის მდგომარეობის განკარგებისათვის  
და მეცადინეობენ, რომ ამ უფლებათა საშუალებით მუშა  
ხალხი თავის ოფლის ნაყოფის მესაკუთრეთ გახადონ... ბატ.  
მაიაშვილის პრაქტიკული რჩევა, რომ ტყუილია და მაგ რჩ-  
ვით დღეს არავინ არ ხელმძღვანელობს, ამას მოწმობენ ექრა-  
ბის სხვადასხვა ხალხის მოძღვრებანი და ამ მოძღვრებათ,  
უკეთესნი წარმომადგენელნი. კარლ მარქსი თავის 1847 წლი-  
სანიფესტში, სხვათა შორის, ამბობს, რომ მუშა-ხალხმა უსა-  
თუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტ-  
ლისტების უღელი შემუსროსო“<sup>2</sup>.

ბოსლეველზე უწინარეს გ. მაიაშვილის სტატიას გამოეხმ-  
ურა ქუთათური გაზეთის მეორე თანამშრომელი გრ. უმწიფა-  
რიძე (ცოლსკი): „ცხოვრების პოლიტიკური და ეკონომიკური  
კითარება იმგვარად არის გადაბმული ერთმანეთზე, ისე მტკ-  
ცედ შეკავშირებული, რომ გიჭირს კაცს მათი ერთმანეთში

<sup>1</sup> გან. „შრომა“, ქუთაისი, 1882, № 48.

<sup>2</sup> „შრომა“, ქუთაისი, 1883, № 3.

გარჩევა, თუმცა მათი სხვადასხვაობა ცნადი და უეჭველია<sup>1</sup>. საზოგადოებრივ მოღვაწეთა დასას ეკუთვნის და სიმართლეც იმათუენ არის, ვინც არა თუ მარტო პოლიტიკურს უფლებათა და ეკონომიკურს წარმატებას შეა, თვით რომელსამე პოლიტიკურს ფორმას და ეკონომიკურს ბედის გაუმჯობესებას შორისაც პპოებს მციდროდ შედებულს კავშირს<sup>2</sup>.

დისკუსიაში მაიაშვილს ასე თუ ისე გარევევით მიემხრნენ ურბნელი (ნ. ხიზანაშვილი), რომელიც თავის სტატიაში<sup>3</sup> ასახელებს კ. მარქსს, და ს. ჭრელაშვილი<sup>4</sup>.

ახლა ბოსლეველი უკანასკნელსაც ეკამათება: „მარქსი და ლასალი იმგვარსავე მნიშვნელობას აძლევენ პოლიტიკურ უფლებათა მოპოებას ცხოვრების ეკონომიკურად გაუმჯობესებისათვის, როგორც ამას შვრებოდა ოქვენგან გაუგებარი ფიხტე. ჩვენს სტატიაში ვრცლად იყო ნათქვამი ამაზედ, ჩვენ გვქონდა მოყვანილი ამის შესახებ მარქსის, ლასალის და პოლიტიკო-ეკონომისის მილის აზრი, მაგრამ თუ ამან საზოგადოების ყურადღებამდე ვერ მიაღწია, ჩვენი დანაშაული არ არის“<sup>5</sup>; — ე. ი. ეს აზრები და ციტატები ცენზორს ამოულა.

მაგრამ სტ. ჭრელაშვილი ვერ ითმენს ბოსლეველის მიერ ზემოხსენებულ მეცნიერთა საერთო რუბრიკაში მოთავსებას: „ვერ გაგვიგია ერთი უბრალო გარემოება, ისა, რომ, თუ ბოსლეველი... პატივსა სცემს მარქსისა და ლასალის ეკონომიკურ აზრებს, მაშინ ფიხტე რაღა შუაშია, რომელი სიტყვის მასალაა“<sup>6</sup>.

1 „შრომა“, 1882, № 46.

2 „შრომა“, 1882, № 49.

3. „იმედი“, 1883, № 3, 35—46.

4 „დროება“, 1883, № 16.

5 „შრომა“, 1883, № 5.

6 „დროება“, 1883, № 32.

ცხადია, ამ დროიდან კ. მარქსის სახელი უკვე უფრო ჩატარებული გახდა საურნალო თუ საგანეოო სტატიისათვის რევულტორეთვე ბროშურა-წიგნაკებშიაც. აღსანიშნავია, მაგალითად, ა. ფურცელაძის მიერ ბანკების შესახებ 1884 წ. გამოცემული ბროშურა<sup>1</sup>, რომელშიც კ. მარქსი მრავალგზისაა მოხსენებული, როგორც დიდი ავტორიტეტი ეკონომიკურ საკითხებშიც.

ზემოთ უკვე გვმონდა აღნიშნული ზ. ჭიჭინაძის როგორც წიგნით მოვაჭრის მიერ არალეგალური ლიტერატურის გაცემულების ფაქტი. მაგრამ იგივე ზ. ჭიჭინაძე ხელს უწყობდა ა მარქსის სახელის პოპულარიზაციას, როგორც შეერთი ერთ-ერთ თავის სტატიაში, „მუშა ხალხი საქართველოში“, ეხება რა საერთოდ მუშათა მდგომარეობის საკითხს, იგი აღნიშნავს, რომ მას „ხმის ამოღებას შესახებ მუშა ხალხისა საქართველოში“ აბედვინებს ის გარეშოება, რომ ამ საკითხის ქტუალობას აღიარებენ „თვით კარლ მარქსი, ფერდინანდ ლასალი, პრუდონი და ფლეროვსკიც-კიო“<sup>2</sup>.

სამიოდე წლის შემდეგ ზ. ჭიჭინაძე ბეჭდავს „კაპიტალის“ მეორე ტომის რუსული თარგმანის რეცენზიას: „მრავალ ჩვენს ყმაწვილ-კაცებს წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც ექნებათ გამოჩენილის და დიდათ მცოდნე პოლიტიკო-ეკონომიკური მწერლის, ძლიერი კრიტიკოსის კარლ მარქსის სახელი. აწინდელმა კაცობრიობის ეკონომიკურმა მეცნიერებამ და კრიტიკამ ისეთს წერტილამდის მიაღწია მარქსის მეოხებით. რომლის მსგავსი და შესადარებელი ჯერ დიდი ხანი გავა, რომ გამოვიდეს ვინმე“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ა. ფურცელაძე, „ბანკები და მათი მნიშვნელობა“, 1884, თა. 15—16 და შემდ.

<sup>2</sup> აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ სკ. სალარიძის დახასიათებით ა. ფურცელაძე იყო იმდროინდელ სემინარიელთა „წრის თეორეტურის რადიკალ სოციალისტი“ (სკ. სალარიძე, დასახ. თხზ., 98).

<sup>3</sup> „იმედი“, 1883, № 2, 35—40.

„კარლ მარქსი არის შარმომადგენელი ახალის პოლიტიკოსი ეკონომიკური მეცნიერებისა . რაციონალისტურის სკოლისა, რომლის რეალურს ეკონომიკურ მხარეებთან და აზროვნებებთან თითქმის მჭიდრო კავშირი აქვს ყოველს ნაირს მეცნიერულ აზროვნებასა. მარქსის ძლიერი შრომის და ვინაობის ამბები დიდი ხანია, რაც ევროპაში განისაზის და თვით რუსულ უურნალებშიაც-კი უწერიათ ამის შესახებ“.

ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ ზ. ჭიჭინაძე უკვე ენება კ. მარქსის „კაპიტალს“: „ამ ძლიერი და უშესანიშნავესი კაცის თხზულების „კაპიტალის“ პირველი ტომის რამდენიმე რვეულები ნემენცურ ენაზე 1859 წ. გამოიცა<sup>1</sup>. ესევე გამოცემა იმავ დროს სხვადასხვა ენაზედაც გადასთარგმნეს და ამის გამო ბევრმა უშესანიშნავესმა მწერალმა ისაუბრეს, არჩიეს, არკვიეს და მარქსის საწინააღმდეგოთ მაინც ვერა გააწყვეს რა. შემდეგ წლებში პირველ რვეულებს მიემატა შემდეგიც და მით გათავდა „კაპიტალის“ პირველი ტომი“...

„...გარდაიცვალა კარლ მარქსი და მისი სიკვდილის შემდეგ ვაისმა იმ ცნობის ხმა, რომ კარლ მარქსს თავისი „კაპიტალის“ მეორე ტომი გათავებული დარჩენია. ყველა ეს შრომა — გარჩევა, გადაწერა და გამოცემა იყიდული გამოჩენილმა და განვითარებულმა ბ. ენგელსმა. ენგელსი კარლ მარქსის ძველი მეგობარია და მასთანავე დიდათ მცოდნე პოლიტიკური ეკონომიკის სწავლის და სხვადასხვა მეცნიერებისა“.

„მარქსის „კაპიტალის“ გამოცემას მთელი განათლებული ქვეყნების მწერლები... დიდი სიხალისით მიეგებენ და ეს უშესანიშნავესი მეცნიერებით სავსე თხზულება იმავე წელიწადს რუსულ ენაზედაც გადმოთარგმნეს და 1885 წ. პეტერბურგში ცალკე წიგნათაც გამოსცეს. აქეთ უნდა დავუმატოთ, რომ ამ გამოჩენილის და უძლიერესის ეკონომისტის სწავლამ დიდი გავლენა იქონია. მთელ ევროპის ეკონომისტ-მეცნიერებზე

<sup>1</sup> იგულისხმება „პოლიტიკური ეკონომის კრიტიკისათვის“.

და დღეს საფრანგეთის ქალაქ პარიჟში მთელი სკოლა და არსებული, რომლის წარმომადგენელი მარქსის თეორიას იყვლევენ და ამ სკოლის წარმომადგენელთ პირთ სახელადაც „მარქსისტები“ ეწოდებათ<sup>1</sup>.

ამგვარად, ზ. ჭიჭინაძე, გარდა იმისა, რომ პირველი იხსენიებს ქართულ პრესაში ფრ. ენგელსის სახელს, იმავე დროს პირველი სწერს ბიბლიოგრაფიას კ. მარქსის თხზულებაზე საერთოდ ქართულ ბეჭდვით სიტყვაში, რომ არა ვსთქვა რა იმის შესახებ, თუ რაოდენ მაღლა აყენებს კ. მარქსსა და მის მოძღვრებას, თუმცა თვით ქართული სინამდვილისათვის ყოველივე ეს ჯერჯერობით ნაადრევად მიაჩნია; სახელდობრ: „კ. პიტალის“ მეორე ტომის გამოსვლასა და არსებობას ჯერჯერობით ჩვენს გონიერობის მოძრაობასთან და ლტოლვილებასთან (მისწრაფებასთან) დიდი რამ კავშირი არა აქვს და კ. მარქსის შრომა უფრო ევროპის რაციონალური სკოლისა და საკითხავ სანუკვარ განძად არის მიღებულიო<sup>2</sup>.

დასასრულ, 1880-იანი წლების მიწურულს, გამოქვეყნდა გ. მაიაშვილის ტრაქტატისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი გამოხმაურება: ნ. გ-ლის (ივ. ჯაბადარის) სტატია, რომელმაც თავის მხრივაც დიდი პოლემიკა გამოიწვია<sup>3</sup>. ივ ჯაბადარიც, მსგავსად მაიაშვილისა, ნაციმბირალი ხალხოსანია.

1 „თეატრი“, 1886, № 17, 176—178.

2 Z., „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა კ. მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომი“ (ცურ. „თეატრი“, 1886, № 17, 176—178).

3 Z., რომ სახელდობრ ზ. ჭიჭინაძის ფსევდონიმია დააღინა პროფ. ს. უნდა გერმ (იხ. მისი „სოციალიზმის ისტორია. საქართველოში“, II, 144, შენიშვნა სკოლიოში).

3 იხ. „ივერია“, 1888 წ. № 105-ის მოწინავე; აგრეთვე სანოს (ს. ჭიჭილა შვილის) ვრცელი ფელეტონები: „ივერია“, 1888, №№ 149, 154, 161, 181, 189; კიდევ „ივერია“ 1888, № 162 და შემდ. ფელეტონები სათაურით: „ზოგიერთი ფიქრი“. ნ. გ-ლის ეკამთებოდნენ განსაკუთრებულა „თეატრგრალეულთა“ მოლვაწეობის შეფასებაში. „ივერიის“ 1888 წ. № 105 მოწინავის ავტორია ილ. ჭიჭილა გაძე.



წინასწარ აღნიშნავს რა, რომ საერთოდ გ. მაიაშვილი „ლაპარაკა კარაკობს იმისთანა პრინციპითაღურს საგნებზედ, რომლების ასე თუ ისე გარდაწყვეტას ჩვენის ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს“<sup>1</sup>, ნ. გ-ლი წერს: „ეს აზრი (ლაპარაკია გ. მაიაშვილის მიერ მოყვანილი კ. მარქსის ციტატისა და შეხედულებათა შესახებ) ჩემო მკითხველო, ეკუთვნის წარჩინებულს საქვეყნო მეცნიერს, რომელმაც თავისი დიდათ შესანიშნავი სამეცნიერო თხზულება, ვით ერთი კარგი ზორბა ყუმბარა, მარჯვეთ ესროლა მოელის ქვეყნის მოქალაქის გაქვავებულს გულს და, თუმცა ნათლად დაგვანახვა ის საზარელი ხალხის ცხოვრება, მაგრამ სანუგრძოთ ისიც დაგვიმტკიცა, რომ თვით კაპიტალისტების წარმოებითი მოქალაქობას საფლავი ეოსრება და ადრე თუ მალე გლოვის ზარიც უეჭველად დაერჩეკება“.

„ამ შესანიშნავი სამეცნიერო შრომის აზრი ის გახლავსთ, რომ ყოველის ერის უფლებას, იმის პოლიტიკურ, სასულიერო და საზნეობო წესს და წყობილებას საფუძვლად და დასაბამად აქვთ ქონებრივი ცხოვრების წესი და წარმოება“.

„დიდათ საჭიროა დაინახოს კაცმა ნათლად, როგორ მიაგნო ამ მეცნიერმა თავის ნათელს აზრს... რასაკვირველია, ჩვენ ჩვენის მხრით მთლად ვეთანხმებით ამ ფილოსოფიურს აზრს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ იმას არა აქვს ჩვენს ცხოვრებაში ის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელსაც ბ-ნი მაიაშვილი მიაწერს და რომლისგანაც ის დასკვნა გამოჰყავს, რომ თუ ჩვენ მართლა ჩვენის ქვეყნის ერის გულითადი მზრუნველნი ვართ, უნდა უეჭველად უპირველესი ყურადღება იმის ეკონომიკის ცხოვრების გამოკვლევასა და განკარგებას მივაქციოთო“<sup>2</sup>.

იხილავს რა კაცობრიობის ისტორიის განვითარების ძირითად ეტაპებს, ნ. გ-ლი, ასკვნის: „ამგვარად, ჩვენ მივაღწიეთ იმ საფუძველს, რომელზედაც ზემოხსენებულმა მეცნიერმა

<sup>1</sup> „ივერია“, 1888, № 100.

<sup>2</sup> „ივერია“, 1888, № 111.

(კ. მარქსმა) დაამყარა ის თავისი ფილოსოფიური აზრების განვითარებას, იმის საპოლიტიკო, სასულიერო და საზნეობო წესს და დაწყობილებას საფუძვლად და დასაბამად აქვს ქონებრივის ცხოვრების წესი და წარმოებათ. ახლა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ეს აზრი არის მხოლოდ შედეგი ფილოსოფიურის განხილვისა აღამიანის შრომის ისტორიისა".

ჩვენს ეპოქაში, როდესაც მონობა (პიროვნული არათავისუფლება) უკვე მოსპობილია, „დახელოვნებულ კაცის ქონება რივი ბედნიერება თავის ხელშია, ოლონდ ხელებ-შეკრული არ იყოს, ნება და უფლება ჰქონდეს თავისის ცხოვრების მოწყობისა".

„აი, ჩვენის აზრით, ამგვარი მიმართულება და მნიშვნელობა უნდა მისცეს კაცმა ცხოვრებაში ზემოხსენებულის მეცნიერის აზრს... მაგრამ ბ-ნი მაიაშვილი ამ აზრს... სხვა მნიშვნელობას მიაწერს და ჰქონდარიტად ეს დიდათ სამწუხაროა... იმიტომ... რომ შემდეგ დიდის ისტორიულის გამოცდილებისა, ამგვარი მნიშვნელობა თვით რუსეთშიაც-კი უარყოფილია დაწინაურებული და განათლებულ საზოგადოებისაგან, როგორც ცხოვრებაში გამოუსადეგარი და ძნელად აღსასრულებელია".

ამის შემდეგ გ-ლი გვამცნობს თავის საკუთარს, ტიპიურად ხალხოსნურ შეხედულებას იმ ამოცანების შესახებ, რაც უნდა დაისახოს ინტელიგენციამ დღეს, როდესაც „გონება დაშულ და გაუსსნელ მდაბიო ხალხს არა აქვს იმდენი ღონისძიება და სახსარი, რომ გადაავლოს თვალი თავისს ისტორიას, იცნოს თავი და ძალა თავისი და ამგვარად დაადგინოს ის აზრი, რომ დღეს ნება და მოვალეობა ყოველის კაცის კეთილდღეობის საფუძველი და საძირკველია, რომ ნათლად გაიგოს, თუ ეს ნება მოვალეობა იმის ხელთ იქნება, მაშინ თავის ქონებრივ ცხოვრებასაც თვითონვე საუკეთესოდ მოაწყობს. ხოლო საუბედუროდ მდაბიო ხალხი დიდხანს ვერ გაიგებს ამის მნიშვნელობას; ამის გაგების და ასრულებაში მოყვანის მოვალეა იმისი წინ-წასული ძმა, განათლებული საზოგადოება, ე, ი. ინტელიგენცია...".

ამაშია ყოველის ერის ინტელიგენციის აუცილებელი და უპირატყობის გელესი მნიშვნელობა და ამაშივე უნდა გამოიჩინოს თავის ყველგან: სალიტერატურო, საზოგადო, თუ სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზე<sup>1</sup>.

ამგვარად, აქ ი. ჯაბადარის, რუსეთშიაც კარგად ცნობილი ხალხოსანის, მიერ ასე მკაფიოდ და აშკარად არის გადმოლაგებული საერთოდ ხალხოსნობის ერთ-ერთი ძირითადი შემცდარი შეხედულება სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. სახელდიბრ, ხალხოსნების (ნაროდნიკების) „შემცდარი და მავნე შეხედულება კაცობრიობის ისტორიის მთელ მსვლელობაზე“; რომ მათი „აზრით, ისტორიას აკეთებენ არა კლასები და არა კლასთა ბრძოლა, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები — „გმირები“, წომლებსაც ბრმად მიყვებიან მასები, „ბრძო“, ხალხი, კლასები<sup>2</sup>; და აგრეთვე, ის შეცომაც, რომ „მთავარ რევოლუციურ ძალად ნაროდნიკები სთვლიდნენ გლეხობას; ინტელიგენციის ხელმძღვანელობით და გლეხურ თემს“<sup>3</sup>.

საერთოდ ზემოთმოყვანილ მასალათა საფუძველზე უკვე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

ჩვენ დავინახეთ, რომ კ. მარქსის სახელი ქართულ საზოგადოებრიობასა და პუბლიცისტიკაში (პრესაში) ჩნდება 1870-იანი წლების დასაწყისიდანვე; — კ. მარქსი 1870-იან წლებში აქ წარმოგვიდგება, როგორც ავტორიტეტი პოლიტიკურ და საერთოდ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში.

1880-იანი წლებიდან პირველად იწყება ქართულ საზოგადოებრიობასა და პუბლიცისტიკაში დისკუსია მარქსიზმის გაგებისათვის, რაც ძირითადად ხალხოსნურ შეხედულებათა ორბიტში მოძრაობს და საერთოდ ოპოზიციური ინტელიგენ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1888, № 111.

<sup>2</sup> „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია“, 16.

<sup>3</sup> იქ ვ. ე.

4. 3. გუგუშვილი

ციის წრეებით ისაზღვრება. შაგრამ, ცხადია, როგორიც განდებული გაუგებრობის ბურვილებში არ ყოფილიყო წარმართული ეს ჯისკუსია, იგი მაინც ისტორიული აუცილებლობით პქმნიდა წინაპირობას საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა. თვის, — 1890-იანი წლებიდან მოყოლებული.

\* \*

1890-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში უკვე მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და, მაშასადამე, პუბლიცისტიკაც ახალ საფეხურზე აღის. „მესამე დასმა“, რომელიც 1893 წელს ჩაისახა, „დასაბამი მისცა მარქსისტული იდეების გავრცელებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში და, ყველა თვისი ნაკლის მიუხედავად, მაინც ბიძგი მისცა რევოლუციურ ახალგაზრდობას და მოწინავე მუშებს მარქსიზმის გაცნიბისა და შესწავლის საქმეში”<sup>1</sup>.

ამ დროიდან უკვე საქმე გვაქვს კ. მარქსის არა მხოლოდ სახელისა და ცალკეული იდეების, არამედ მარქსიზმის, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობის გავრცელების ფაქტთან, რასაც ანსორციელებდნენ მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები. მარქსიზმის თესლი ამიერკავკასიაში შემოიტანეს, როგორც რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებულმა რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, აგრეთვე საზღვარგარეთ ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა.

„მესამე დასის“ ძირითადი ჯგუფი, რომელიც თბილისი—გავკასიის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრის — ქართულ ლეგალურ პრესაში (გაზეთი „კვალი“, „მოამბე“) მარქსიზმის ქადაგებდა, იყო ნოე უორდანიას ჯგუფი (1893—1898 წლ.)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ლ. 3. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევკიური ორგანიზაციების ძალის საკითხისათვის“, გვ. 21.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 13.

ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ე. ნინოშვილი, ეკამათებოდა რა წინათაობის მწერლებს, 1893 წელს „კვალში“ წერდა: „...ის თაობა, რომელიც აღიზარდა და დაბერდა შელლინგის და ჰეგელის მეტაფიზიკაზედ, რა თქმა უნდა, ვეღარ შეითვისებდა ბიუნერის, მოლეშოტის, კ. ფოლტის და სხვა მისთანა ახალ მეცნიერთა მატერიალურ მიმართულებას და ოგ. კონტის პოზიტიურ ფილოსოფიას; ის თაობა, რომელსაც მოხუცებამდე მტკიცედ სწამდა კიუვეს თეორია, მოხუცების დროს ვეღარ შეითვისებდა დარვინის ევოლუციონურ თეორიას; რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა ბუნების მეტყველებაში; ის თაობა, რომელსაც მოხუცებამდე ჟეშმარიტებად მიაჩნდა მალტუსის, სეის, ბასტიას და სხვა მისთანა პოლიტიკო-ეკონომების მოძღვრება, რა თქმა უნდა, მოხუცების დროს, ვეღარ შეითვისებდა კარლ მარქსის საპოლიტიკო-ეკონომიურ მოძღვრებას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში“<sup>1</sup>.

ამ დროიდან, როდესაც ეს სიტყვები იბეჭდებოდა, ერთი წელიწადიც არ იყო გასული, რომ ე. ნინოშვილის ლია საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში სილ. ჯიბლაძე ლაპარაკობდა: „.... ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწინააღმდეგ წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით — მუქთახორა, ბურეუა-კაპიტალისტები. პირველთა ხეედრია აუტანელი შრომა-გარჩა. მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხილი ჩვენში და ზოგან კი კარგი ხანია ჩატეხილიცაა; აი, სად ირლევე უფსკრული და ბევრგან კარგი ხანია გარღვეულიცაა. ამ უკულმართობის დასამარცხებლად არის, ერთი მეცნიერის (კ. მარქსის) სიტყვით რომ ესთქვათ, ორსულად ახლანდელი უამთა-უითარება.

<sup>1</sup> ე. ნინოშვილი, „ძველი დავა ახალ ქერქში“ („კვალი“, 1893, № 32, გვ. 3).

ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად წლებით  
ვწვიან და უნდა იღვწოდენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგე-  
ნელნი ახალი თაობისა“<sup>1</sup>.

იმავე ხანებში „ქვალში“ გამოქვეყნებულს გ. წერეთლის  
(დამსწრე) კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ერთი რამ შე-  
სანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე.  
მის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვსოდვათ, მესამე დასი ახალ-  
გაზრდობისა... ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოთქვეს  
ამათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზ-  
მად დაწყვნენ, რომ ხალხში შეიტანონ განათლების შუქი  
და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს  
თავს იხრჩობს ბანქისა და ქალაქის არჩევნებში“<sup>2</sup>.

ამგვარად ჩამოყალიბდა „მესამე დასი“, რომლის იდეოლო-  
გი და ყველა პროგრამული ნაშრომის ავტორი იყო ნოე უორ-  
დანია. ეხებოდა რა 1894 წელს გამოქვეყნებულ ნ. უორდანიას  
პროგრამულ ნაშრომს („ეკონომიური წარმატება და ეროვნე-  
ბა“<sup>3</sup>), ს. ჯიბლაძე წერდა: „ამ სტატიაში, რომლითაც იწყება,  
ჩვენი აზრით, ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში, საკმაოდ  
გამოსჭვივის პროგრამა ჩვენი ახალის — დღეს „მესამე და-  
სად“ წოდებულის თაობისა“<sup>4</sup>.

„მესამე დასის“ მოლვაშვილისამ დიდი რეზონანსი გამოიწვია  
საზოგადოებრიობაში<sup>5</sup>. აი, როგორ გადმოგვცემს ამ გარემო-  
ებას ჩვენი ცხოვრების ისეთი ნიჭიერი დამკვირვებელი, რო-  
გორიც იყო დავ. კლდიაშვილი: „1894 წელს ნინოშვილის  
საფლავზედ, მის გასვენების დროს, სილიბისტრო ჯიბლაძემ  
დეკლარაცია წარტიის, რომელსაც შემდეგ და-  
ერქვა სახელად მესამე დასი. დეკლარაცია დაიბეჭდა „ქვალ-

<sup>1</sup> „ქვალი“, 1894, № 22, გვ. 15.

<sup>2</sup> „ქვალი“ 1894, № 21, გვ. 3.

<sup>3</sup> „მოამბე“, 1894, №№ 5, 6.

<sup>4</sup> „ქვალი“, 1895, № 10, გვ. 15—16.

<sup>5</sup> ვრცელად იხ. ლ. გორგი ლამაზე, „მარქსიზმის ისტორიისათვის სა-  
კართველოში“, 1951, გვ. 93—184.

ში“ და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში გვარი რამ თორმეტის წლის წინეთაც იყო ქართულ პრესა-ში, — ეს გ. მაიაშვილის წერილი საზოგადო მოღვაწეთა მი-გართ, დაბეჭდილი უურნალ „ივერიაში“. წერილმა დიდი შთა-ბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მკითხველთა წრე იმ ხანებში მეტად ვიწრო იყო და ამიტომ ფართო გავრცელება არ ქონია. ამ ყოვლად შესანიშნავს წერილს, რომელიც წარმოადგენდა საოცრად შედგენილ პროგრამას ჩვენი ეკონომიური ცხოვრე-ბის განსავითარებლად. თორმეტის წლის შემდეგ, მსგავსმა დეკლარაციამ კი აუარებელი მსმენელი იპოვა, იგი შეიკრა ხალხში. არ დარჩენილა მხოლოდ ინტელიგენციის კუთვნილე-ბად, მოიპოვა მრავალი მსმენელი, ახლად გაღვიძებულ წრე-ებში და დიდ გავლენას ახდენდა მათზედ<sup>1</sup>.

ეს მოძრაობა ფართოდ გავრცელდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ყოველ კუთხეში, განსაკუთრებით კი ქალა-ქებში, სადაც მეტი თუ ნაკლები ზომით თავმოყრილი იყო მუ-შათა კლასი.

იგივე დ. კლდიაშვილი მოგვითხრობს, თუ როგორ იქრიბე-ბოდა და ცხარედ კამათობდა ახალგაზრდობა ბათუმში, 1890-იანი წლების პირველ ნახევარში. მაგალითად, სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიასთან შეკრებილ და მოკამათე ახალგაზრდათა შორის ერთხელ ერთმა ყმაწვილმა „გატაცებით წამინდახა: მე მარქსისტი ვარ, ვარ მარქსისტი და ვერავითარი ძალა მას ვერ ჩამომაშორებს! ამ კაცმა (კ. მარქსმა) სამოთხე ზეციდან დედა-მიწაზე ჩამომიტანა, აქ გამიჩინა, აქ მომცა ჩემს სიცოცხლე-ში... პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! მიგვაგნები-

<sup>1</sup> დ. კლდიაშვილი, „მემუარები“, 1933, ტფ., 130—131. უნდა დავსძინოთ, რომ გ. მაიაშვილის გამოსვლასთან ეს ანალოგია აღინიშნა მა-შინვე „კვალშიაც“ და დ. კლდიაშვილის მსჯელობის ხასიათიც გვაფიქრები-ნებს, რომ უკანასკნელს მემუარების წერისას გულმოლგინეთ უსარგებლია შესაბამისი ლიტერატურითა და წყაროებით, რაც კიდევ უფრო ნათლად ჩანს, მაგ., ბათუმის მუშათა ცხოვრების აღწერისას.

წა გზას და ყველა რომ შევერთდებით... საქოთხეს აქ გავაჩიტოთ სიცოცხლეში". იმ ხანებში „ბათუმის ქუჩებში ყოველი ფეხის ნაბიჭედ შეხვდებოდი სხვანაირი სიმარტით მოსიარულეს, გატაცებულ კილოზე მოლაპარაკე ყმაშვილობას „კვალით“ ხელში<sup>1</sup>. „კვალი“ მაღვე ლეგალური მარქსიზმის ორგანოდ გადაიქცა.

მაგალითად, გ. წერეთელიც, „კვალის“ შეფრედაქტორი, ამ ხანებში, ცხადია, „კვალთან“ დაახლოებულ მესამე დასელთა მეშვეობითა და გავლენით ეცნობა მარქსიზმს და რიგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შეფრედებული სახით ეწევა მის ერთგვარ პოპულარიზაციას; ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ გ. წერეთელს იმ დროს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა თვით მუშათა წრეებშიც.

გ. წერეთელი გან. „ივერიის“ მხრივ თავდასხმისაგან საკუთარი პოზიციის დაცვისათვის ბრძოლით გატაცებული წერდა, რომ „...მარქსის თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც დარგინის თეორიას ბუნების მეცნიერებასა და ბიოლოგიაში. ეს (მარქსიზმი) არის უკანასკნელი მეცნიერული დაკვნა პოლიტიკო-ეკონომიასა და სოციოლოგიაშით“<sup>2</sup>.

თვით „მესამე დასელთა“ უმრავლესობა, უორდანიას მეთაურობით, წარმოადგენდა „ლეგალური მარქსიზმის“ ჯგუფს, რომელიც თავის ნაწერებში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მთელ რიგ ძირითად საკითხებზე ამახინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას, ავულგარებდა მარქსიზმს და ნაციონალისტურ ელფერს აძლევდა მას“<sup>3</sup>.

მესამე დასელთა უმრავლესობა, მყაცრად აკრიტიკებდა მემულურ და ხალხოსნურ მიმართულებებს, სცნობდა კაპიტა-

<sup>1</sup> დ. კლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზ., 131—132.

<sup>2</sup> „კვალი“, 1899, № 5.

<sup>3</sup> ლ. პერია, დასახ. თხზ., 17—18.

ლიზშის განვითარების აუცილებლობას, მაგრამ კაპიტალიზმში  
მხოლოდ პროგრესიულ მხარეს ხედავდა და არ აყენებდა ბურობა-  
ეუაზიული ურთიერთობის დამხობის საკითხს. „ნოე უორდანია  
და „მესამე დასის“ უმრავლესობა უარმყოფდნენ რევოლუცი-  
ურ მოძრაობაში პროლეტარიატის პეგემონიის იდეას და პრო-  
ლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატუ-  
რის აუცილებლობას“<sup>1</sup>.

„მესამე დასის“ უმრავლესობის შესახებ მისივე თვალსაჩი-  
ნო მოღვაწე ს. ჯიბლაძე 1895 წელსვე მახვილონიერად მსჯე-  
ლობდა: „მოსალოდნელია, ჩვენის აზრით, მესამე და მეორე  
დასი მომავალში დაუახლოვდნენ ერთმანეთს დროებით, ჩაუნ-  
გრიონ ბუდე რეაქციონერებს, შემდეგ ერთი მეორის წინა-  
აღმდეგ მოიღერონ ყელი საბრძოლველად. მაშინ ჩვენს ცხოვ-  
რებაში დამყარდება ორი სამკვდრო-სასიცოცხლო მეომარი  
დასი — პროგრესიული დღეს „მესამედ“ წოდებული, და კონ-  
სერვატული დასი (II). ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში? ჩვენ  
ვფიქრობთ, პირველი. რატომ? იმიტომ რომ ის მიღის წინ  
ცხოვრების მიმდინარეობასთან ხელ-ხელს გაყრილი. ამით გა-  
თავდება ისტორიული დანიშნულება დღევანდელ აზალგაზრდა  
(III) დასისა. როცა ეს ახალი დასი შეასრულებს. თავის ისტო-  
რიულ მისიას, ვინ იცის, იქნება მასაც იგივე ბედი ეჭიოს, რა-  
ბედიც ეწია ჩვენს ძველ დასს. ასეთი მაგალითებით სავსეა ის-  
ტორია, მისი განვითარების ულმობელი ლოდიკა ამას თხოუ-  
ლობს. დღეს ის თავისი სიყვარულით ასაჩუქრებს და ეფერება  
ერთს იმიტომ, რომ ხვალ მას ზურგი შეაქციოს და თავისი  
მშობლიური ალერსი მეორეზე გადაიტანოს“<sup>2</sup>.

მართლაც, გარევეული დროის შემდეგ, ულმობელმა ისტო-  
რიამ ზურგი შეაქცია „მესამე დასს“, რომელიც თავისი პოლი-

<sup>1</sup> ლ. პ. ბერია, გვ. 18.

<sup>2</sup> ს. ჯიბლაძე, „კვალი“ და მესამე დასის მშერლება ცეკვაზე, 1895, № 9, გვ. 14—15).

1897 წ. „მესამე დასში“ შევიდა ლ. კეცხოველი, ხოლო 1898 წ. იოსებ სტალინი, რომელთაც იქ სიახლე და რევოლუციურობა შეიტანეს.

ამხანაგი სტალინი თბილისში, ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფეთა წრეებში მუშაობისას იცნობდა და ასწავლიდა კ. მარქსის ნაწერებს. ამის შესახებ ამს. დ. გოგოხია თავის მოგონებაში წერს, რომ 1894—1895 წწ., „წრეში იოსები (სტალინი) გვიკითხავდა ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებებს, გვიხსნიდა დარვინის თეორიას ადამიანის წარმოშობის შესახებ, ხოლო წლის ბოლოს ჩვენ გადავედით პოლიტიკური ეკონომიკასა და მარქსისა და ენგელსის წიგნებიდან ნაწყვეტების კითხვაზე“<sup>1</sup>.

ამ მისწრაფებას არ შეეძლო არ გამოეწვია ცდები კ. მარქსის თხზულებათა ქართულად თარგმნა-გამოცემისა. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის პირველი შრომა, რომელიც ითარგმნა ქართულად, დღემდე ცნობილი მასალების მიხედვით, იყო „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“.

როგორც ცნობილია უკვე 1890-იან წლებიდან ბათუმი წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მრეწველურ ცენტრს, სადაც ჩაისახა და განვითარდა პროლეტარული მოძრაობა. ქ. ბათუმში მოწინავე მუშების ერთ-ერთ შესაკრებ ცენტრს წარმოადგენდა რუსი სოციალ-დემოკრატის გ. ფრანგესკის ბინა. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით მოწინავე მუშას გ. სოლორაშვილს, 1897 წლის პირველ ნახევარში, ქართულად უთარგმნია კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის პროგრამული ნაწარმოები „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“ და ეს

<sup>1</sup> იხ. „ამიერკავკასიის ძველი მუშების ნამბობი დიდ სტალინშე“, 1937, თბ., 14; იხ. აგრ. ა. კიკვიძე, „თბილისის სასულიერო სემინარია“ (თსუ შრომები, ტ. 34).

ჟარგმანი მალე, გ. ფრანჩესკის ბინაში, ჰექტოგრაფულად დაცული უბეჭდიათ (როგორც ჩანს არამთლიანად).

თვით გ. სოლორაშვილი თავის მოგონებაში წერს: „დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქართულად საჭირო ლიტერატურა არ არსებობდა. ჩვენ განვიზრახეთ „კომუნისტური მანიფესტის“ ქართულ ენაზე გადმოთარგმნა. ეს საქმე მე მომანდვეს, რაც შეძლებისდავგარად შევასრულეთ ფრანგესკიმ და მე... ბევრი ცდის შემდეგ მოვახერხეთ კარგი ჰექტოგრაფის გაკეთება... დავბეჭდეთ ას ცალამდე“<sup>1</sup>.

ბათუმში ამავე წელს სოციალ-დემოკრატებს დაუბეჭდიათ კ. მარქსის სურათი<sup>2</sup>.

1897 წ. ივნისში უანდარმერიამ მიაკვლია თბილისში არსებულ რუს მარქსისტთა წრეს. მალე აღმოაჩინეს აგრეთვე ბათუმში არსებული ს.-დ. წრე. დაპატიმრებულთა (თ. აფანასიევის, გ. ფრანგესკის, ი. ლუზინის და დ. მეტერსკაიას) ბინების გაჩერებისას კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ლენინის სხვადასხვა რუსულად გამოცემულ შრომებთან ერთად იპოვეს „კომუნისტური მანიფესტის“ ქართული თარგმანიც.

საქმის გამოძიების შედეგად უკვე 1898 წლის გასულს თბილისის უანდარმთა პოლკოვნიკი, სხვათა შორის ასკვნიდა: „ამ გამოძიებით დადგენილია თბილისში სოციალ-დემოკრატიული წრის არსებობა, რომელიც ეწეოდა მუშათა კავშირში გაერთიანების პროცესისას არა მხოლოდ რუს, არამედ ადგილობრივ მუშებს შორისაც...“ ამ ხელმძღვანელთა ბინების გაჩერებისას ჩამორთმეული კ. მარქსისა და ფრ. ენგელსისა და საერთოდ

<sup>1</sup> მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი II, საქმე № 813; ფურც. 16.

<sup>2</sup> იხ. ზ. გ ე გ ე შ ი ძ ე, „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბების ისტორია“, 1947, თბ., გვ.10 (გამოუქვეყნებულია).

პრალეგალური ლიტერატურის შესახებ მსჯელობაში, კანდარქ-  
თა პოლკოვნიკი სხვათაშორის წერს: „ჩამორთმეულ იქნა...  
რევოლუციური გამოცემები, აგრეთვე ბროშურები მუ-  
შათა საკითხზე და ცალკე სტატიები, კარს მარქსისა და  
ენგელსის მანიფესტი და მისი ქართული თარგმანი, მუშათა  
თვითდახმარების სალარო და მთელი ბიბლიოთეკა წიგნებისა,  
რომლებიც შერჩეულია გარკვეული მიმართულებით მუშების  
განვითარებისათვის და რევოლუციური იდეების შესათვისებ-  
ლად მათი მომზადებისათვის“<sup>1</sup>.

ამვეარად, 1897 წ. ბათუმში ქართულად თარგმნილი და  
ჰექტოგრაფულად გამოცემული „მანიფესტი კომუნისტური  
პარტიისა“ იმ ღროის პირობებშიც გავრცელებულა მკითხ-  
ველთა შესაბამის წრეებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე 1897 წ. „კომუნისტური  
პარტიის მანიფესტის“ ნაწილის თარგმანი ვრცელი ციტატე-  
ბის სახით დაიბეჭდა ქურ. „კვალში“; თუმცა, ცხადია, იქ არაა  
მოხსენებული, რომ ეს არის კ. მარქსისა და ენგელსის ცნობი-  
ლი თხზულების შესაბამისი აღგილები. 1897 წ. „კვალის“ ნო-  
მრებში ფ. პატრიშვილის (ფ. გოგიჩაიშვილის) ფელეტონებში  
(„მგზავრის შენიშვნები—ევროპაში“) ციტატების სახით, თუმ-  
ცა, ცენზურული პირობებისა გამო, ავტორთა მოუხსენებლად,  
არის თარგმნილი „კომუნისტური მანიფესტის“ შესაბამისი  
ნაწილები<sup>2</sup>.

მართალია, კ. მარქსის „კაპიტალის“ რუსული თარგმანი  
გამოცემის დროიდანვე გაჩნდა თბილისში, მაგრამ, როგორც  
ჩანს, 1890 წლების მეორე ნახევარშიაც ეს წიგნი აქ ძნელა

<sup>1</sup> მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არ-  
ქივი, ფონდი № 31, საქმე № 277, ფურც. 26.

<sup>2</sup> იხ. „კვალი“, 1897 წ., № 48, გვ. 857—858; № 49, გვ. 870—871; იხ.  
აგრ. ფ. გოგიჩაიშვილი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ქარ-  
თული თარგმანები („ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები“, IV, გვ. 185—  
202).

საშოვნელი ყოფილა. 1938 წელს პროპაგანდისტების თათტინი — როგორც ემ. იარისლავსკი გადმოგვცემს, — ი. სტალინის აღნიშნა, რომ 1890-იან წლებში მუშათა წრეებში „თბილის-ში მხოლოდ ერთად-ერთი ცალი იყო „კაპიტალისა“ და წრის (წრისა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა) წევრებმა გადასწერეს ხელით, რათა თავიანთოვის ჰქონოდათ იგიო“<sup>1</sup>.

თუ რამდენად ძნელი იყო „კაპიტალის“ ხელში ჩაგდება, ჩანს აგრეთვე, ას. წულუკიძის კერძო წერილებიდანაც. 1897 წ. 21 ნოემბერს ალ. წულუკიძე მოსკოვიდან ერთ თავის მე-გობარს, ელენე ჭიჭინაძეს (თბილისში), სწერდა:

„...ეს არის გიორგი დეკანოზიშვილი ვნახე, პეტერბურგში მიდიოდა და მე გამომიარა; მან გადმომცა, რომ ჩემი მარქსი თქვენთვის დაუტოვებია — ნოე უორდანისა[თვის] გადასა-ცემათ; ასე მითხრა: „არ მეგონა თუ მოგნახავდიო და ამიტომ არ წამოვილეო“. ეხლა ისევ თქვენ უნდა მოგმართოთ, რათა ამდენი ხნის ლოდინს ბოლო მოულოთ. კარგა ხანია მაგ წიგნს მოველი, ყველგან მივწერე და, აი, ეხლა თქვენ გწერთ, რად-გან ჩემთვის ეხლა ძლიერ საჭიროა და ხელახლად მისი შეძენა, ხომ მოგეხსენება, ჩემისთანეებისათვის მეტად გასაჭირია, თი-თქმის შეუძლებელიც არის (25 მანეთი ღირს). ამიტომ, თუ ნოესთვის ჯერ არ გადაგიციათ, — გთხოვთ, ფასდაუდებელი ამანათით გამომიგზავნოთ ჩემს სახელზედ, იმედი მაქვს ეს თხოვნა მეტად სამძიმოთ არ დაგირჩებათ და ჩემთვის რამო-დენიმე წამს დაკარგვათ წიგნის გამოსაგზავნათ. თუ უკვე გა-დაეცით ნოეს, მაშინ თუმცა მეტი შრომა მოგელისთ, მაგრამ მაინც უნდა გთხოვთ გამოართვათ ისევ თქვენ და გამომიგ-ზავნოთ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Е. Ярославский, „Борьба за создание РСДРП в России (1883—1901), М., 1941, стр. 166.

<sup>2</sup> ალ. წულუკიძე, თხზულებანი, 1943, თბ., 280.

ამ მხრივ საინტერესოა აღ. წულუკიძის მიერ იმავე ტექსტის ჭინაძისადმი ოციოდე დღის შემდეგ გამოგზავნილი წერილიც: „...თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნი და შემდეგ წერილიც მივიღე. ტყუილათ გვონიათ, რომ თქვენს თავს, გარდა მარქსის „კაპიტალისა“, სხვა არაფერი გამახსენებდა. მარქსი თავის-თავად ჩემთვის სრულიად უსარგებლოა, თუ ადამიანთა ყოველი კავშირი შევწყვიტე, სულიერად გამამხნევებელი მეგობრობა, რომელიც ყოველთვის და ყვილასათვის საჭიროა, უარვყავ. არა, მე „კაპიტალი“ მხოლოდ სახელმძღვანელოდ, გზის მაჩვენებლად, ლამპრად მინდა, დანარჩენი კი ისევ ადამიანთა თანაგრძნობით უნდა განხორციელდეს...

აი, ახლაც, ამ წერილს მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომზედ ვწერ და ვფიქრობ: როდის იქნება ის ნეტარი დრო, რომ ჩვენ ცხოვრებაში გამოილოს ნაყოფი ამ დიდებული მეცნიერის აზრებმა და ჩვენს აზროვნებასაც მეცნიერული ხასიათა მიეცეს“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კ. მარქსის თხზულებებით, კ. მარქსის ცალკეული იდეებით უბრალო გატაცება უკვე აღგილს უთმობს მისწრაფებას, რათა „ამ დიდებული მეცნიერის აზრებმა“ თვით ჩვენს „ცხოვრებაში გამოილოს ნაყოფი“.

„მესამე დასის“ შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი, — ა. წულუკიძე, ლადო კეცხოველი და ი. სტალინი. ეს ჯგუფი წარმოადგინდა „მესამე დასის“ უმცირესობას, რომელიც მთელ რიგ ძირითად საკითხებში არ ეთანხმებოდა „მესამე დასის“ უმრავლესობას“<sup>2</sup>.

„მესამე დასის“ უმცირესობამ გააჩაღა დიდი და ცხოველ-მყოფელი მუშაობა რევოლუციური მარქსიზმის ავიტაცია-

<sup>1</sup> აღ. წულუკიძე დე თხზულებანი, 281—282.

<sup>2</sup> ლ. პ. ბერია, დასახ. თხ., გვ. 22.

პროპაგანდის საქმეში. აღსანიშნავია, რომ 1899 წელს „კვალი-  
ში“ იბეჭდება რეცენზია ლენინის ცნობილ წიგნზე „კაპიტა-  
ლიზმის განვითარება რუსეთში“, რომელიც ის-ის იყო გამო-  
ქვეყნდა. ბიბლიოგრაფის ავტორი — ცნობილი სოციალ-დე-  
მოკრატი ივ. ლუჩინი — ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს  
ვ. ლენინის ხსენებულ შრომას, რომელსაც ურჩევს მკითხველ-  
თა საზოგადოებას<sup>1</sup>.

როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია წერს „გადამჭრელ და შე-  
ურიგებელ ბრძოლაში ქართული „ლეგალური მარქსიზმის“  
წინააღმდეგ, „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ, რო-  
მელსაც სათავეში ედგა ნ. უორდანია, ჩაისახა, ჩამოყალიბდა  
და გაიზარდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რევოლუ-  
ციური ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ბოლ-  
შევიკური ორგანიზაცია ამიერკავკასიაში“<sup>2</sup>.

ამ დროიდან მოყოლებული, მთელი რიგი წლების მანძილ-  
ზე ქართულ არალეგალურ თუ ლეგალურ პერიოდულ ორგა-  
ნოებში და ცალკე გამოცემათა სახით სისტემატურად იბეჭდე-  
ბა იოსებ სტალინის შრომები. ამხანაგი სტალინი თავის ამ  
თხეულებებში ეწევა საერთოდ მარქსიზმის და, კერძოდ,  
ნარქესისტული ეკონომიკური მეცნიერების არა მხოლოდ  
ბრწყინვალე დაცვასა და პროპაგანდას, არამედ შემდგომ გან-  
ვითარებას. ი. სტალინის მიერ საქართველოში დანერგილი  
ნარქესისტულ-ლენინური ეკონომიკური მეცნიერების დიდე-  
ბული ტრადიციის პირველი ალამდარი იყო ალ. წულუკიძე,  
რომელმაც ქართულად დასწერა პირველი მარქსისტული, პო-  
პულარული, წიგნი პოლიტიკურ ეკონომიაზე („ნაწყვეტები  
პოლიტიკური ეკონომიიდან“, 1904 წ.).

სწორედ ამ დროს, 1905 წლის რევოლუციის დასაწყისში,  
საქართველოში უცხოეთიდან ჩამოდიან ვ. ჩერქეზიშვილი, აგ-

<sup>1</sup> „კვალი“, 1899, № 30, 511—512.

<sup>2</sup> ლ. პ. ბერია, დასახ. თხ., გვ. 25.

რეთვე კ. გოგელია (ორგეანი), მ. წერეთელი (Bâton) და სხვანა  
ამათ აქ გააჩაღეს ანარქისტული აგიტაცია-პროპაგანდა, გაიჩი-  
ნეს პერიოდული ორგანოები. ცხადია, ანარქისტების მოღვაწე-  
ობა მიმართული იყო უმთავრესად მარქსისტული იდეოლო-  
გიის წინააღმდეგ. ისინი ლამობდნენ თავიანთი გავლენა გა-  
ვრცელებინათ მუშათა და გლეხთა მასებში.

ვ. ჩერქეზიშვილმა, გარდა რიგი სტატიებისა, 1907 წ.  
თბილისში რუსულად გამოსცა პოლემიკური ბროშურა სოცი-  
ალ-დემოკრატიის, კერძოდ, კ. კაუცის წინააღმდეგ.

ეს იყო გაგრძელება იმ ცილისმწამებლური დისკუსიისა,  
რაც ანარქისტებმა და, კერძოდ, ჩერქეზიშვილმა ჯერ კიდევ  
1880-იან წლებში დაიწყეს უურ „Les temps nouveaux“-ში (პა-  
რიზი), ყოველკვირეულ „Freedom“-ში (ლონდონი) და სხვა  
ანარქისტულ ორგანოებში — საერთოდ მარქსისტებისა და,  
კერძოდ, თვით კარლ მარქსისა და ფრ. ენგელსის წინააღმ-  
დეგ. ვ. ჩერქეზიშვილის ამ ფელეტონებიდან ზოგიერთი ცალ-  
კე ბროშურებად იბეჭდებოდა, რომელთა შორის განსაკუთრე-  
ბით ფართოდ გავრცელდა, მაგალითად „Pages d'histoire soci-  
aliste“ (1896, პარიზი) და „Percuteurs de l'International“  
(1899, პარიზი); ესენი, ისე, როგორც მისი ზოგი სხვა ნაწერიც,  
იმავე ხანებში ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა ხოლმე რე-  
სულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ, იაპონურ  
და ჩინურ ენებზედაც-კი?

<sup>1</sup> В. ЧЕРКЕЗОВ, „Наконец то сознание?“, 1907, Тифлис.

<sup>2</sup> ამას გარდა ვ. ჩერქეზიშვილი (1846—1925) დას. ეფრონიშვი-  
ლევოდა დიდ პრაქტიკულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. სხვათა შორის იგი იყო  
ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე ანარქისტული ინტერნაციონალის ექიმისა და  
პარიზის სექტიებისა. 1881 წ. იგი პარიზიდანაც გადასახლდა. ფრინად თეატ-  
სახიწო როლს თამაშობდა 1882 წ. ინტერნაციონალის იურის ფედერაციის  
კონგრესში. იმავე 1882 წელს პარიზში იშვება ლიონელი ანარქისტების  
ცენტრილი პროცესი. ლიონელთა საქმეში ერთ ვ. ჩერქეზიშვილიც და რათა  
პოლიციას ხელში არ ჩაეტანოდა, იგი გარბის უენევიდანაც. შემდეგ ერთ-

ცხადია, რომ ვ. ჩერქეზიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა შესამჩნევ რეზონანსს იწვევდა მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვ. ჩერქეზიშვილის ამ „აღმოჩენათა“ ბუნება საბჭოთა მკითხველისათვის ადვილად გასაგებოა, სახელდობრ, თუ რამდენად უნიადაგო და უსაფუძვლოა მისი მტკიცებანი მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა — კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის პლაგიატორობის შესახებ, რომ „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“ მათ ვითომ გადაწერეს ფრანგი ფურიერისტის ვ. კონსილერანის წიგნიდან, აგრეთვე თითქოს ფრ. ენგელსმა თავისი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგ-

ხანს თითქმის საესებით სცილდება პოლიტიკურ მოღვაწეობას და ხელს ჰყიდებს სხვადასხვა კომერციულ საქმეებს: კონსტანტინეპოლითან ჩაძირებული ავსტრიული გემის ამოღებას, ბუქარესტში კეფირის წარმოებას; გალაციი იგი მუშაობს როგორც მხატვარი; ერთხანს საქართველოშიაც ცხოვრობს, როგორც -თავ. მუხრან-ბატონის ბავშვების მასწავლებელი, მაგრამ ეანდარ-მერიის შიშით აქედან ისევ საზღვარგარეთ ვარბის. 1892 წ. უკვე ლონდონშია, სადაც კვლავ ებმება პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში; მონაწილეობს ანარქისტულ გამომცემლობათა მუშაობაში, იმავე ლროიდან ძლიერ უახლოვდება პ. კ. რ. კ. თ. ტ. კ. ი. ნ. ს, რომელმაც ხელი შეუწყო რათა კ. ჩერქეზიშვილი უშუალოდ ჩაბმულიყო ევროპისა და ამერიკის ანარქისტული პარტიების ლიტერატურულ-პოლიტიკურ მუშაობაში... 1907 წელს საქართველოდან მიემგზავრება ნიკოლოზ II ინიციატივით მოწვევულ პაგის სამშვიდობო კონფერენციაზე — პეტიციით, რომელსაც 40.000 კაცი ხელს აწერს, რომ... ცარიზმი ევროპაში მშევიღობანობაზე ქადაგებს, ხოლო თვითონ პატარა ერებს, როგორიც საქართველოა, თავისუფლებასა და ფამილიურიდებლობას ართმევს და ჩავრავს. 1907 წლიდან ვ. ჩერქეზიშვილი სულ ევროპაშია, სადაც კრიმპოტეინთან, კორნელისენთან, გრავთან ერთად ხელმძღვანელობს ანარქისტულ პარტიებს ევროპასა და ჩუხეთში. 1912 წ. ლონდონს ბეჭდავს წიგნს „Concentration of Capital“, რომელიც წარმოადგენს „კრიტიკას“ კ. მარქსის კონცენტრაციის თეორიისა, და რედაქტორობს ბაკუნინის თხზულებათა კრებულს (1915 წ.); — მონაწილეობს ანარქისტთა გამოსვლაში („16-ის დეკლარაცია“) ციმერვალდის კონფერენციის წინააღმდეგ; პირველი მსოფლიო ომის, დროს ანტივერმანულ პოზიციაზე იდგა; 1917—1921 წწ. კვლავ საქართველოში ცხოვრობდა. 1925 წ. გარდაიცვალა და დასაფლავდა ლონდონს.

ლისში”, გადაწერა ბიურეს ამგვარივე სახელშოდების წიგნი-  
დან და სხვა; გასაგებია, რომ ვ. ჩერქეზიშვილის მთელი ეს  
„კრიტიკული” ვარჯიშობა, რამაც, სხვათა შორის გამოიწვია  
პ. კროპოტკინის ოლტაცება, ნაკარნახევი იყო მარქსიზმის წი-  
ნააღმდეგ ბრძოლის წმინდა პარტიული, კლასობრივი ინტერე-  
სებით და მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან.

სულ მალე, სახელდობრ 1900 წელს ვ. ჩერქეზიშვილი უკ-  
ე საჭიროდ თვლის ქართულ პრესაშიც გამოვიდეს მარქსი-  
ზმის წინააღმდეგ. გაზ. „ივერიაში“ ვ. მარველის ფსევდონიმით  
იგი აქვეყნებს ფელეტონებს<sup>1</sup> („ბელგიაში მოგზაურობა“), სა-  
დაც, ჩვეულებრივი ცილისმწამებლური ბრალდებებითა და  
ცრუმეცნიერული არგუმენტებით ილაშვრებს კ. მარქსისა და  
ფრ. ენგელსის წინააღმდეგ.

მესამე დასის უმრავლესობის ორგანოს „კვალის“ რედაქ-  
ციას მარქსიზმის ასეთი საყოველთაოდ ცნობილი მტრის წინა-  
აღმდეგ შესაბმელად სცენაზე გამოჰყავს თვით გ. პლეხანოვი,  
როგორც ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი „მარქსიზმის სა-  
ერთაშორისო ლიტერატურაში“<sup>2</sup>. გ. პლეხანოვი, რომელიც  
როგორც ჩანს, ისედაც თვალს დფევნებდა ქართულ პუბლიცის-  
ტიკას, სპეციალურ სტატიებს წერს „ივერიაში“ გამოქვეყნე-  
ბული ვ. ჩერქეზიშვილის ფელეტონების საპასუხოდ. გ. პლე-  
ხანოვის ეს სტატიები — „როგორც ჰქუეს, ისე არა წვიმს“, —  
პირველად გამოქვეყნდა ქართულად „კვალის“ ფურცლებზე<sup>3</sup>.

ამგვარად, თვით 1900-იანი წლების გარიერაეზე ქართუ-  
ლი საზოგადოებრიობა და პუბლიცისტიკა იმდენად დაწინა-  
ურებულია, რომ იგი სრულის საფუძვლიანობით გამოდის  
შიოფლით პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე და თანაც იმ-  
დენად მძლავრი მაჯისცემით, რომ აქ არა მხოლოდ აქტიურ

<sup>1</sup> „ივერია“, 1900 წ., №№ 200, 247, 248, 258.

<sup>2</sup> ლეინი, „Сочинения“, XXVI, 135.

<sup>3</sup> „კვალი“, 1901 წ., № 26, 27, 28.

რეზონანსს იშვევენ საერთაშორისო პუბლიცისტიკის უახლესი და უმწვავესი პრობლემები, არამედ ჰპოვებენ მეცნიერულ ახსნასა და განმარტებას.

ქართული ცხოველმყოფელი სინამდვილე უკვე იმდენად შეეზარდა მსოფლიო საზოგადოებრივ ცხოვრებას, ქართული ბეჭდვითი სიტყვა იმდენად გადაეხლართა საერთაშორისო პრესის კოლიზიებს და გადმოიზიდა თავისეუნ მისი მწვერვალები, რომ აქ, უშუალოდ თვით ქართული უურნალ-გაზეთების ფურცლებზე, აუცილებელი შეიქნა ერთმანეთს დასჯახებოდნენ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ისეთი კორიფე, როგორიც იყო გ. პლეხანოვი, და მარქსიზმის მტერთა ბანაკზი — ვ. ჩერქეზიშვილი.

რამოდენიმე წლის შემდეგ, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში (1905—1907 წწ.), ვ. ჩერქეზიშვილი უკვე თვით ჩამოდის თბილისში, რათა აქ, რუსეთის რევოლუციისა და, მაშასადამე, მარქსისტული მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში, გაეჩაღებინა ანარქისტული პროპაგანდა-აგიტაცია. მაგრამ სწორედ აქ, თავის სამშობლოში, მისთვის სავსებით მოულოდნელად, დას. ევროპულ პუბლიცისტიკში ფრთებშესხმული და გალადებული ვ. ჩერქეზიშვილი ახლა პირისპირ უნდა დასჯახებოდა რევოლუციური მარქსიზმის ციხე-სიმაგრეს, რომელიც ფოლადის ურყვე ბურჯად იყო აღმართული.

ამიერკავკასიელი ბოლშევიკები ლენინური ხაზის მტკიცედ გამტარებლის, ამხანაგ ი. სტალინის ხელმძღვანელობით შეუდრევებულ ბრძოლას აწარმოებდნენ როგორც ყოველგვარი ანტიმარქსისტული და ნაციონალისტური პარტიების, ისე, კერძოდ, ანარქისტების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, მაგალითად, ის „დიდი დისკუსია, რომელიც ჩატარდა თბილისში ანარქისტეროპოტკინელების — კ. გოგელიას და მ. წერეთლის წინააღმდეგ, რაც ბოლშევიკების სრული გამარჯვებით დასრულდა“<sup>1</sup>,

<sup>1</sup> ლ. 3. ბერია, დასახ. თხზ., გვ. 73.

კერძოდ, ჭიათურაში 1905 წ. მაისს მიტინგზე ანარქისტების წინააღმდეგ გამოსული სტალინის შესახებ თავის მოგონებაში მიტინგი გამოდის კობა. გაჩაღდა დიდი კამათი... მაშინ, როცა ყოველი მოწინააღმდეგები ილანძლებოდა და „დორბლს პყრიდა“, ამხანაგი კობა დინგად და შეურყევლად არღვევდა და აცამტვერებდა მოწინააღმდეგებთა ყველა დებულებას”<sup>1</sup>.

მაგრამ გარდა სიტყვიერი აგიტაციისა ანარქისტები, — ვ. ჩერქეზიშვილი და მის მიერ ჭერ კიდევ ეკროპაშივე დარაზმული მისი მოწაფეები: კ. გოგელია<sup>2</sup>, შ. გოგელია, მ. წერეთელი, — ბლომად ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ ანარქისტულ ლიტერატურას. აუცილებელი იყო ამ მხრივადაც ბრძოლა და საბოლოოდ ანგარიშის გასწორება ანარქისტებთან. და აი, სტალინი აქვეყნებს თავის გენიალურ შრომას: „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ (1906—1907 წწ.).

სტატიათა სერიის სახით გამოქვეყნებულს ამ შრომაში სტალინი გარდა იმისა, რომ შემოქმედებითად ანვითარებს

1 ლ. პ. ბ ე რ ი ა, დასახ. თხ., გვ. 73—74.

2 კ. გოგელია (ორგეანი) 1897 წლიდან სწავლობდა საფრანგეთსა (ნაცისა) და შეეიცარიაში (ლონინაში, უნევეში). 1903 წლიდან უკერავდა დაქტორობდა უნევაში ანარქისტულ ორგანოს, — „ხაებ ჩ. ბოლქვაში“, რომელსაც თანამშრომლობდნენ პ. კროპოტკინი, ვ. ჩერქეზიშვილი, ლუიკი ბერტონი და სხვა ცნობილი ანარქისტები. ამ დროიდან ორგეანი ცნობილი ხდება რუსულ და დას. ეკროპულ ანარქისტულ მოძრაობაში, თუმცა კროპოტკინს ხშირად უხდება აღშეფოთება მისი ლიტერატურული გამოსვლების გამო. 1905 წლიდან საქართველოშია და აქ რედაქტორობს „ნობათს“ და „მუშას“, სცემს თავის ძმა შალვასთან ერთად ბრძოლაში. 1907 წლის შემდეგ კვლავ შეეიცარიასა და საფრანგეთშია. პარიზში ფრანგულად იბეჭდება მისი ნაშრობები. ხშირად „მოხუცეულობანაც“ (პ. კროპოტკინი, ვ. ჩერქეზიშვილი) არის ლონდონში. 1915 წ. პარიზში, როგორც „პორაენეცს“, პატიმრებენ და „S'ante“-ში ზის. შემდეგ კვლავ შეეიცარიაშია, პოლიტიკური მოღვაწეობის ფერხულში. 1917—1919 წ. რუსეთში იყო. 1921 წ. საქართველოში ჩამოდის. იმავე წელს გარდაიცვალა.

საერთოდ დიალექტიკურ მატერიალიზმზე მარქსისტულ მოძღვრებას და იძლევა პროლეტარიატის რევოლუციური კლასის სიმბოლი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან მარქსიზმულენინიშმის თეორიის ღრმა საკითხების დაკავშირების ნიმუშს, ამასთანავე სავსებით აცამტვერებს ანარქისტების „თეორიულ ვარჯიშობათ“, უდიდესი დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ „...მარქსიზმი და ანარქიზმი სრულიად სხვადასხვა პრინციპებზეა აშენებული“; — სასაცილოდ იგდებს ანარქისტების „ფილოსოფიურ მსჯელობათ“, საღაცისინი ამტკიცებენ თავიანთს მატერიალისტობას, და ნათელყოფს, რომ ანარქისტებივით „ფიქრობდნენ მხოლოდ ვულგარული მატერიალისტები (მაგ., ბიუხნერი და მოლეშოტი), რომლებიც ძირიანად ეწინააღმდეგებიან მარქსის მატერიალიზმს“; — ააშკარავებს საერთოდ ანარქიზმის ნამდვილ, ე. ი. მუშათა კლასისათვის მავნებლურ და მტრულ ბუნებას.

ამგვარად, ამხანავ სტალინის მიერ აქ, საქართველოს სინამდვილეში, ანარქიზმის ჸემოსსენებულ წარმომადგენელთა მოღვაწეობის უოველმხრივი დამარცხება წარმოადგენს იმავე დროს გამანადგურებელ დარტყმას საერთაშორისო ანარქიზმულდაც. ამხანაგი სტალინი ბრწყინვალედ იცავს და გენიალურად ავითარებს რევოლუციურ მარქსიზმს, ასაბუთებს და ჰქადაგებს რევოლუციის ლენინურ თეორიას, დაუნდობლად ებრძვის რა მენშევიკურ, ანარქისტულ და საერთოდ უოველგვარ ანტიმარქისტულ პარტიებსა და იდეოლოგიას.

დიდი სტალინის მიერ, ქართულ საზოგადოებრიობასა და უურნალისტიკაში მარქსიზმის დამახინვებათა წინააღმდეგ და მარქსიზმის შემდგომი განვითარებისათვის შეუნელებელი ბრძოლის პროცესში, დარაზმულმა ამიერკავკასიის მუშათა კლასმა ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა რუსეთის სახელმეფი პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

შინაარსი

ავტორისაგან	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	3
1. შესავალი	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	5
2. ქ. მარქსი 1870-იანი წწ. პრესაში	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	30
3. ქ. მარქსი 1880-იანი წწ. პუბლიცისტიკაში	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	34
4. ქ. მარქსი 1890-იანი წწ. პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	50

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ა. ნუცუბიძე

ტექნიკური ა. თოდუა

კორექტორები	ც. იანქოშვილი
	დ. ნათაშვილი

გადაუცა წარმოებას 25.8.52. ხელმოწ. ფასაბეჭდად 25.10.52. ქალალდ.  
 ზომა 84×108<sup>1/2</sup>, ქალალდ. ფურც. 1,062. საბეჭდ. ფურც. 3,48  
 სააღრ. საგამომც. ფურც. 2,74. საავტ. ფ. 2,7  
 შეკვ. № 1517. ფ. 14478. ტირაჟი 4000.

ფასი 65 კაპ.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა  
ი:ბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5

ფასი 65 ქაბ.

П. В. Гугушвили

КАРЛ МАРКС  
В ГРУЗИНСКОЙ ПУБЛИЦИСТИКЕ  
И ОБЩЕСТВЕННОСТИ  
(до 1898 г.)

(на грузинском языке)

Издательство АН Грузинской ССР  
Тбилиси — 1952